

"24 საათის" ფიქიანი ნომერი
***2424**


გაზსადენი
"ნაბუკო"

A8



"ჩაკრულო", "ასსა" და...
კატარა დოღები

A12



რეიტინგი
„ერთა თასს“ ელის

A13



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

ჰანსიორგ ჰაბერი: საქართველომ მამაცი და ცალმხრივი ნაბიჯი გადადგა

ბიორგი ასანიშვილი

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ტრანსპარენტულობის ზომების შესახებ, რომლებიც ე-წ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე მძიმე შეიარაღების განთავსებაზე კონტროლის დაწესებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის საფუძველი გახდა ევროკავშირის მედიატორობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმება. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შორის

ბაზრძოლაბა A2 გვირდვა



ჰანსიორგ ჰაბერი.

ბათუმში "თიბისი ბანკის" ახალი ოფისი გაიხსნა

"თიბისი ბანკი" საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს აკეთებს

ბათუმში "თიბისი ბანკის" ოფისის პრეზენტაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის კეთებაა, რასაც "თიბისი ბანკი" დღემდე აკეთებს.

პრეზიდენტთან ერთად ბანკის ფილიალის გახსნას ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანიაც ესწრებოდა.

საკაშვილმა საზგასმით აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკა კრიზისშია, საქართველოში არამარტო ხალხის დასაქმება, არამედ მოხდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

"საქართველოში ეკონომიკური შენელებაა, თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სრული მასშტაბით ჯერ არ არის შემოსული და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ კრიზისის ზემოქმედება ქართულ ეკონომიკაზე მინიმალური იყოს", - განაცხადა სააკაშვილმა.

ბაზრძოლაბა A5 გვირდვა



აშშ ავღანეთში განთავსებულ ჯარებს საქართველოზე გავლით მოამარაგებს

“ასოშიეთიდ პრესის” ინფორმაციით, აშშ-მ შეთანხმდა ახალი მარშრუტი, რომლითაც ავღანეთში დისლოცირებული ამერიკელი სამხედროებისთვის არასამხედრო დანიშნულების ტვირთის ტრანსპორტირება მოხდება. ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში აშშ-ს შეიარაღებული ძალების მეთაურმა, გენერალმა დევიდ პეტრუსმა განაცხადა, რომ რუსეთთან და მოსაზღვრე ქვეყნებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება რუსეთის გავლით აშშ-ს ძალების სამხედრო შეიარაღებით მომარაგების შესახებ, ხოლო ამ მოლაპარაკებების დეტალები მისთვის უცნობია.

ამასთან, მიღწეული შეთანხმების თანახმად, არასამხედრო ტვირთი საქართველოსა და აზერბაიჯანს გაივლის, შემდეგ მას საზღვაო გზით გადაიტანენ ყაზახეთის პორტ აქტაუში, იქიდან კი უზბეკეთის ტერიტორიის გავლით - ავღანეთში. შეერთებული შტატების სამხედრო უწყებებში აღნიშნავენ, რომ აშშ-ს ძალების მომარაგებისთვის ახალი გზები შემუშავდა. ამ მიმართულებით მოლაპარაკებები დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, რადგან აქამდე ავღანეთში ტვირთის დიდი ნაწილი პაკისტანის პორტ ყარაჩზე გამავალი სახიფათო მარშრუტით მიემართებოდა. ეს სატრანზიტო გზა დიდი რისკის შემცველი იყო. მას არცთუ იშვიათად ესხმოდნენ თავს პაკისტანის რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ-ს სამხედრო ხელმძღვანელობას ყველაზე საფრთხილი აქვს, უარი თქვას პაკისტანის მხარის მომსახურებაზე და ახალი მიმართულებისთვის გამოიჩინოს ძალისხმევა. **საკუთარი ინფორმაცია**

“ასე შენდებოდა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი”

გაზაფხულზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოვა ახალი წიგნი, სახელწოდებით “ასე შენდებოდა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი”. წიგნის ავტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვაგა სამუშია.

წიგნი შესულია სამების ტაძრის ისტორია 1998-დან 2004 წლამდე, ანუ მშენებლობის დაწყებიდან კურთხევამდე. მასში მოთხრობილია მშენებლობის პროცესის, დამფინანსებლების, არქიტექტორების, მშენებლობაში მონაწილე პირების შესახებ. ასევე მოთხრობილია ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებზე, შემთხვევებზე და ეპიზოდებზე. წიგნი “ასე შენდებოდა წმინდა სამების საკათედრო ტაძარი” უკვე ჩამუშავებულია წარმოებაში და დაინტერესებულ მკითხველს ახლო მომავალში ექნება მისი გაცნობის საშუალება. **24 საათი**

ქალთა პარტიის ახალგაზრდული ფრთა სიცოცხლის უფლების დაცვას ითხოვს

საქართველოს ქალთა პარტია “სამართლიანობისა და თანასწორობისთვის” ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ პრესკონფერენცია გამართა. ორგანიზაციის თავმჯდომარე თამარ ხიჯაკაძის თქმით, ქალთა პარტიის ახალგაზრდული ფრთა უერთდება მოძრაობა “7 ნოემბერის” მიერ წამოწყებულ აქციას “არა ძალადობას!”.

“ზუსტად სამი წელი გავიდა სანდრო გვირგვლის მკვლელობიდან. მისი მკვლელები, სარგებლობენ რა სახელმწიფოს მალაჩინოსნების მფარველობით, ისევე დაუსჯელი არიან. ასევე დაუსჯელი არიან ბუტა რობაქიძის და ზურა ვაზაგაშვილის მკვლელები,” - განაცხადა ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ. თამარ ხიჯაკაძის თქმით, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც დაცული იქნება სიცოცხლის უფლება.

“ჩვენ ვაინდა ვიცხოვროთ ისეთ სახელმწიფოში, სადაც უსაფრთხო არსებობის საშუალება ექნება თითოეულ ჩვენგანს,” - აღნიშნა მან.

თამარ ხიჯაკაძემ მოუწოდა ახალგაზრდებს, 28 იანვარს შეუერთდნენ აქციას, რომელიც გაიმართება საქართველოს პარლამენტთან 14 საათზე. **24 საათი**

ქრისტიან-დემოკრატები ერთი წლისთავს აღნიშნავენ

7 თებერვალს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ერთი წლის ხდება. ამასთან დაკავშირებით იგეგმება მიღება, სადაც მინეული იქნებიან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების და საელჩოების წარმომადგენლები. ასევე მზადდება ახალი პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც მოძრაობა გაზაფხულზე გამოაქვეყნებს. აგრეთვე ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასთან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია “ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი”, რომელიც ქრისტიანული დემოკრატიის მსოფლმშენებლობას შეისწავლის. ორგანიზაცია ჩაატარებს კვლევებს იმის დასადგენად, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამ პოლიტიკური მიმდინარეობის იდეების დამკვიდრება ქართულ საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ბიზნეს-წრეებში.

“ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტი” მარტივად დაიწყებს ფუნქციონირებას. **24 საათი**

ჰანსიორგ ჰაბერი: საქართველომ მათსი და ცალმხრივი ნაბიჯი გადადგა

პირველი გვირგვინი

ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთქმედების ეფექტურ მექანიზმებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას. ქართული მხრიდან შემორანდუმს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ მოაწერა ხელი, ხოლო ევროკავშირის მხრიდან - საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა, ელჩმა ჰანსიორგ ჰაბერმა.

შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია იღებს, თავისი შეიარაღებული ძალების გადაადგილების შესახებ წინასწარ აცნობოს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას.

“ვიჭირობ, ეს არის მამაცი და ცალმხრივი ნაბიჯი საქართველოს მხრიდან, რომლითაც მას დიდი წვლილი შეაქვს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებაში, განსაკუთრებით კი პირველი პუნქტის განხორციელებაში, რომელიც ძალის გა-

მოყენებას კრძალავს. ის, რომ საქართველოს მთავრობა მუდმივად მოგვანდის ინფორმაციას, ძალიან მნიშვნელოვანია მთელ რეგიონში სტაბილურობის დამყარებისათვის,” - აღნიშნავს ჰანსიორგ ჰაბერი.

მისივე თქმით, ეს შეთანხმება არანაირ გავლენას არ მოახდენს დიპლომატიურ პოზიციაზე, ვინაიდან საქართველო და ევროკავშირი არც ამ ეტაპზე და არც მომავალში არ ცნობენ აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

“იმედი გვაქვს, რომ რუსული მხარე ამ შეთანხმებას კეთილი განწყობით მიიღებს და დავგეხმარება ამ ორ რეგიონში მყოფი შეიარაღებული ძალების შესახებ გამჭვირვალე ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიღებაში,” - მოსკოვის მხრიდან შემხვედრ ნაბიჯს ელოდება ჰაბერი.

“ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ფუნქციონირება ძალიან მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, რომ თანამშრომ-

ლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. დარწმუნებული ვარ, ევროკავშირის მონიტორები მთლიანად შეასრულებენ მანდატით გათვალისწინებულ ფუნქციებს და კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ, რათა გაღრმავდეს უსაფრთხოება და სტაბილურობა ამ რეგიონებში,” - კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძეც.

ურთიერთგაგების შემორანდუმის ხელმოწერის გამო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ სპეციალური განცხადება გაავრცელა.

მასში აღნიშნულია, რომ დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კეთილი ნების კიდევ ერთ გამოხატულებას და ადასტურებს ქვეყნის მზადყოფნას, შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმება. გერგოლ ვაშაძის უწყებაში მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის განცხა-

დება იმის შესახებ, რომ რუსეთმა გარკვევით უნდა დაასახელოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში მისი საჯარო პერსონალის საერთო ოდენობა და შეამციროს თავისი საჯარო ნაწილები ადმინისტრაციული საზღვრის უშუალო სიახლოვეს.

ურთიერთგაგების შემორანდუმს ქართველი ექსპერტებიც იწონებენ. სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილის თქმით, ის ფაქტი, რომ რუსები უზემად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, არ გვაძლევს უფლებას, ჩვენც არაცივილიზებულად მოვიქცეთ.

“ამ დოკუმენტით ევროკავშირის დამკვირვებლები საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვენ დამატებით პოლიტიკურ ნებას, რომ ცეცხლი არ განახლებდეს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სეპარატისტები ჩვენს საგუშაგოს დაცხრილავენ და ჩვენ ამაზე პასუხს არ ვაძლევთ. აქ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების არწამოწყება იგულისხმება,” - განმარტავს სესიაშვილი.

ანაქსიის იურიდიული დადასტურება

დათო ბამისონია

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის დავაზე განაცხადა. კერძოდ, კრემლის გეგმებში შედის რუსეთის მიერ ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ოფიციალური იურისდიქციის გავრცელება. ამ საკითხზე მუშაობა მედვედევმა ალექსანდრე გოლოვინს დააქორწინა. იგი რუსეთის პრეზიდენტმა დსთ-ს ქვეყნებთან საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებში თავის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა. თბილისში მიიჩნევენ, რომ ამ ვადაწყვეტილებით შესაძლოა, რუსეთმა საკუთარი ტერიტორია გააფართოვოს.

მოახდინოს მარიონეტული რეჟიმების ლეგიტიმაცია და ვირტუალური რეალობა სინამდვილედ მოაჩვენოს საერთაშორისო თანამეგობრობას. საქართველომ მტკიცე პოზიცია უნდა დაიკავოს რუსული მხარის ავანტიურისტული ქმედებების აღსკვეთად.” საგარეო საქმეთა მინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ “ადვილია, ფაქტობრივად, საკუთარ თავთან მოლაპარაკებების წარმოება და დიპლომატიური გამარჯვების მოპოვება. მაგრამ რუსეთი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობამ არ აღიარა საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შედეგები, ასევე არავითარი წარმატება არ ექნება საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილების ფაქტობრივი ანექსიისა და სახელმწიფოს საზღვრის ძალადობრივი შეცვლის დავანობების მცდელობებს.”

დგილზე ხასან პლიევი აცხადებს, რომ როკი რუსეთის ფედერაციას ეკუთვნის და გვირახს რუსული სამსახურები ემსახურებიან.

ცხინვალის რეჟიმისგან განსხვავებით, სოხუმის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აფხაზეთის საზღვრის დადგენის შესახებ თავშეკავებულად საუბრობს. მისი თქმით, რუსეთთან საზღვრის დემარკაციის შესახებ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ დაწყებულია. თუმცა, შამბა იქვე დასძენს, რომ ლევიტ სარგებლობის თემამზე აფხაზეთისა და რუსეთს შორის უთანხმოება არასდროს წარმოქმნილა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტროს მთავარ მრჩეველ ვადიმ პოსტოვიცის ინფორმაციით, “საქართველოსთან საზღვრის დემარკაციის პროცესში საზღვაო საზღვრის დადგენისას უპირატესობა იყო, რადგან ქართული მხარე რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრზე აცხადებდა პრეტენზიას, ეს ტერიტორიები კი რუსეთს ეკუთვნის.” პოსტოვიცი იმედოვნებს, რომ “ახლა პრობლემები ნაკლები იქნება და მეგობრებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოსკოვი ამ საკითხებს მალე დაარეგულირებს.”

საქართველოს პარლამენტში მიიჩნევენ, რომ რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება პრაქტიკულად იურიდიული თამაშია და მას სერიოზული რეაგირება საერთაშორისო დონეზე არ მოჰყვება. “24 საათი” ესაუბრა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშვიას. მისი თქმით, “ნატო და ევროსაბჭო კვლავ ცნობენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენი მოთხოვნა არის ამ რეგი-

ონების დოკუმენტაცია, ეს ევროკავშირის ხელმძღვანელობით შექმნილ ექვსპუნქტიან შეთანხმებაშიც წერია. ამაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირმა აიღო და ეს უნდა შესრულდეს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების ეთნოწმენდა მოხდა და ამიტომ გამოირიცხებოდა, ამ ტიპის დანაშაული 21-ე საუკუნეში ვინმეს შერჩეს.”

მალაშვიამ ყურადღება გაამახვილა რუსეთის გადაწყვეტილების მიზნებზე. პარლამენტარის თქმით, “რუსეთის ფედერაციამ იცის, რომ ამ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რეალური ზეწოლა ხორციელდება და კრემლს უახლოეს მომავალში დაუტოვებს ამ ტერიტორიების მართვება. როკის გვირაბი, რუსეთისთვის სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მთა ან თუნდაც ტერიტორია, სადაც არის წიაღისეული - ამ ნაწილებს რუსეთი ე.წ. დამოუკიდებელ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ჩამოაჭრის. სწორედ ამიტომ ცდილობს კრემლი, ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილი საკუთარ იურისდიქციაში მოაქციოს. რუსეთს უნდა, რომ იმ დროისთვის, როცა უკან წაიღებს სეპარატისტების აღიარებას, ტერიტორიები სამართლებრივად შექონდეს მიტაცებული, რათა შემდეგ დავა საზღვრის შესახებ იყოს.”

შოთა მალაშვიამ მიიჩნევს, რომ მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებს ამ საკითხის მიმართ არანაირი პროტესტი არ ექნებათ. “კიდევ ერთხელ დამტკიცდება, რომ მარიონეტულ რეჟიმებს არანაირი გავლენა არ აქვთ, ისინი რუსეთის ხელი-სუფლების გავრძელებას წარმოადგენენ,” - განმარტა პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ.

ევროსაბჭო რუსეთის მოთხოვნებს იბნორირებას უკეთებს

გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის ირგვლივ კონსულტაციები დასრულდა. ევროსაბჭოს რეზოლუციის პროექტში, ქართული მხარის მოთხოვნით, გარკვეული ცვლილებები შევიდა. ევროპარლამენტარებს მოსკოვის მოთხოვნების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აღმოაჩნდათ – რუსეთის დელეგაციის მიერ შეთავაზებული 33 შესწორებიდან მხოლოდ ერთი იქნა გათვალისწინებული და ისიც ნაწილობრივ. მომხდართ გაღიზიანებულმა რუსეთის დელეგაციის წევრმა სერგეი მარკოვმა საკომიტეტო მოსმენა, პროტესტის ნიშნად, დემონსტრაციულად დატოვა.

გუშინ გამართული კონსულტაციებისას, საკომიტეტო მოსმენების შემდეგ, რეზოლუციის საბოლოო პროექტში შეტანილი რამდენიმე ცვლილება დღევანდელ პლენარულ სხდომაზე დაზუსტდება. წინასწარი ინფორმაციით, რეზოლუციის პროექტის საბოლოო ტექსტი, სამუშაო ვარიანტთან შედარებით, მოსკოვის მიმართ კიდევ უფრო გამკაცრებულია. მასში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ რუსეთმა არ შეასრულა არც ერთი ვალდებულება, რომელიც ევროსაბჭომ მას 2008

წლის 2 ოქტომბრის რეზოლუციით დააკისრა.

ამასთან, ევროსაბჭო აპირებს მონიტორინგის დაწესებას იმაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დაკისრებული ვალდებულებები აუცილებლად შეასრულოს.

“ამ რეზოლუციაში აისახება წინა რეზოლუციის მოთხოვნები, რომლებიც მოსკოვს დღემდე არ შეუსრულებია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც მონიტორინგის კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გავიდა, არის ის, რომ დაწესდეს კონტროლი ამ მოთხოვნების შესრულებაზე,” - აცხადებს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი.

დელეგაციის კიდევ ერთი წევრი, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე კი მიიჩნევს, რომ ევროსაბჭომ, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს არა იმდენად საქართველოს სამართლიანი ინტერესების დაცვაზე, რამდენადაც საკუთარი სახის, იმიჯის შენარჩუნებაზე.

“ევროსაბჭომ უნდა მოსთხოვოს რუსეთს იმის შესრულება, რაც ჯერ კიდევ სა-

მი თვის წინ, 2008 წლის ოქტომბრის სესიაზე მოსთხოვა,” - მიიჩნევს თარგამაძე.

რუსეთ-საქართველოს ომის თემას გუშინ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ტერი დევისმა. მან თავის გამოსვლაში ევროსაბჭოს გასული წლის მუშაობა შეაჯამა და სწორედ მასში ახსენა აგვისტოს ომი. კერძოდ, ტერი დევისმა დეტალურად აღწერა ომის დაწყების წინ არსებული ვითარება.

“ეს კონფლიქტი არ დაწყებულა მაშინ, როდესაც საქართველომ ცხინვალზე იერიში მიიტანა. რუსების თქმით, კონფლიქტი წლების წინ დაიწყო, რასაც კვლევითი მუშაობა არ ვეთანხმები. მე 1998 წელს თავად ვიყავი სამხრეთ ოსეთში და დავრწმუნდი, რომ იმ პერიოდში რეგიონში მდგომარეობა უმჯობესდებოდა. ხალხი, რომელიც მაშინ მართავდა სამხრეთ ოსეთს, რადიკალურად განსხვავდებოდა დღევანდელისგან... რუსმა სამშვიდობოებმა მითხრეს, რომ ბრძოლების განახლების საფუძველი არ არსებობდა. სიტუაციის ესკალაცია ეტაპობრივად მოხდა. მე ჯერ კიდევ აგვისტომდე გავაკეთე განცხადება ომის დაწყებისა და ხალხის დაღუპვის საშიშ-

როების არსებობის შესახებ, მაგრამ მთავრობებმა საკმარისი ყურადღება არ გამოიჩინეს,” - განაცხადა ტერი დევისმა...

რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის მოთხოვნებს და მის ინიციატივებს რეზოლუციის პროექტის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ, მოსკოვის მიერ მომზადებული 33 წინადადებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი დაკმაყოფილდა და ისიც ნაწილობრივ.

კერძოდ, რუსული მხარის მოთხოვნით, აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში, შესაძლოა, შეიქმნას ადამიანის უფლებათა დამცველი ოფისები. მანამდე კი ამ რეგიონებში ჩავა ევროსაბჭოს წარმომადგენელი და იქ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს შეისწავლის.

ამასთან, აღნიშნული ინიციატივის რეალიზება საქართველოს ხელისუფლებასთან კონსულტაციებისა და ოფიციალური თბილისისგან თანხმობის მიღების შემდეგ მოხდება.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ ახალ რეზოლუციას დღეს მიიღებს.

საკუთარი ინფორმაცია

სუამ-ის ქვეყნები ხორბლის მარაგის გაზრდაზე მუშაობენ

გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტროში საქართველოში სერტიფიცირებული საელევატორო მეურნეობების განვითარების შესახებ სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სუამ-ის ფარგლებში ქვეყნების ხორბლის მარაგით უზრუნველსაყოფად თანამშრომლობის ახალი გეგმის შემუშავებაზე იმსჯელეს.

როგორც ჩვენთან საუბარში სოფლი მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეციანი განაცხადა, **“წელიწადნახევარი მიმდინარეობს ამ საკითხზე მსჯელობა. აქტიურად ვთანამშრომლობთ უკრაინასთან, რაც შეეხება აზერბაიჯანულ მხარეს, მათ გადაწყვიტეს ეხლა შემოერთებოდნენ ამ ინიციატივას”**.

მისი განმარტებით, 2009 წელს საქართველოს უკვე ექნება შესაძლებლობა მინიმუმ რამდენიმე სერტიფიცირებული ელევატორი ქონდეს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყანაში არსებული ხორბლის მარაგის რაოდენობას. დღეს საქართველოში არცერთი საელევატორო საწყობი არ არსებობს. სამაგიეროდ, მომავალში შესაძლებელია 20-მდე წისქვილკომბინატის საწყობში მოხდეს მათი მოწყობა. როგორც მინისტრმა განაცხადა, ამისათვის საჭიროა გაიცეს შესაბამისი სტანდარტების სერტიფიცირებული საწყობის ცნობა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ხორბლის მარაგი თვიდან თვემდე საშუალოდ 40 000 ტონას შეადგენს, ამავე პერიოდში მოხმარება საშუალოდ 32 000 ტონაა. ახალი საელევატორო მეურნეობების შექმნის შემთხვევაში, შესაძლებელია ხორბლის მარაგის რაოდენობა 100 000 ტონამდე გაიზარდოს.

მარცვლეულის მწარმოებელ მეურნეობებისთვის, რომლებშიც შეიქმნება სერტიფიცირებული ელევატორები, ხელმისაწვდომი გახდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დაბალპროცენტული სესხის მიღება. სესხის ოდენობა და საპროცენტო განაკვეთი, მინისტრის განმარტებით, დამოკიდებული იქნება ხორბლის მარაგის ოდენობაზე. გარდა ამისა, ხორბლის მწარმოებელი ალარ იქნება იძულებული, მოსავლის აღებისთანავე გაყიდოს ხორბალი დაბალ ფასად და ექნება შესაძლებლობა დაელოდოს ფასის გაზრდას. მეურნეობებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა სამშობლოში სახანა-სათესი სამუშაოებისთვის თანხა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ან ევროპისა თუ აშშ-ს სხვა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიიღონ.

შეხვედრას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლები, უკრაინელი ექსპერტები, აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრები, კომერციული ქართული ბანკების წარმომადგენლები და ხორბლის მწარმოებლები დაესწრნენ (შეგახსენებთ, რომ სუამ-ის შემადგენლობაში სულ 4 ქვეყანა შედის, საქართველოს გარდა, უკრაინა, მოლდოვა და აზერბაიჯანი). **24 საათი**

„ისი პარის“ 2009 წლის საახალწლო გათამაშების შედეგები:

პრიზების დასახელება	ბილეთის N	პრიზების დასახელება	ბილეთის N
ტელევიზორი	SAMSUNG 115645	DVD პლეიერი	SAMSUNG 130787
ტელევიზორი	SAMSUNG 157077	DVD პლეიერი	SAMSUNG 160705
ტელევიზორი	SAMSUNG 117964	DVD პლეიერი	SAMSUNG 065510
ტელევიზორი	SAMSUNG 102214	კომპიუტერი	Pentium 4 115305
მობილური ტელეფონი	NOKIA 102423	კომპიუტერი	Pentium 4 136709
მობილური ტელეფონი	NOKIA 062129	კომპიუტერი	Pentium 4 083801
მობილური ტელეფონი	NOKIA 136658	კომპიუტერი	Pentium 4 065817
მობილური ტელეფონი	NOKIA 073403	ციფრული ფოტოაპარატი	SAMSUNG 156663
ვიდეოკამერა	SAMSUNG 146157	ციფრული ფოტოაპარატი	SAMSUNG 107687
ვიდეოკამერა	SAMSUNG 083853	ციფრული ფოტოაპარატი	SAMSUNG 136742
ვიდეოკამერა	SAMSUNG 157415	ციფრული ფოტოაპარატი	SAMSUNG 138771
ვიდეოკამერა	SAMSUNG 122577		
DVD პლეიერი	SAMSUNG 112218	ავტომობილი პეჟო 206 სედანი	Peugeot 206 sedan 083665



გრიგოლ მაგლობლიშვილი საქართველოში დაბრუნდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მაგლობლიშვილი გუშინ სამშობლოში დაბრუნდა. როგორც პრემიერის პრესსამსახურის უფროსმა ავთო ფაველინიშვილმა განაცხადა, "მაგლობლიშვილი თავს მშვენივრად გრძნობს". მისივე ცნობით, გრიგოლ მაგლობლიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, სავარაუდოდ, 28 იანვრიდან შეუდგება. ქვეყნის მესამე პირი, ქართველ და გერმანულ ექიმებს შორის ტელეკონსილიუმის დროს მიღებული გადაწყვეტილებით, მკურნალობის შედეგების შესაფასებლად გერმანიაში 21 იანვარს გაემგზავრა. პრემიერს თირკმელების ანთებითი პროცესის გამო 4-კვირიანი მკურნალობა დაენიშნა, 17 იანვარს კი მას თავის ტკივილი, ზოგადი დისკომფორტი, ტაქიკარდია და არტერიული წნევის მომატება აღენიშნა, რის გამოც მაგლობლიშვილი რესპუბლიკური საავადმყოფოს ოხსერვაციულ განყოფილებაში მოათავსეს. **პირველი**

გიორგი ბარამიძის ლიბანში ვიზიტი დასრულდა

საქართველოს ვიცე-პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ლიბანში ვიზიტის ფარგლებში საქმიანი შეხვედრები გამართა ლიბანის პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, სპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან, საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ვაჭრობის, ინფორმაციის, ადმინისტრაციული რეფორმების მინისტრებთან და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკურ ლიდერებთან. ამასთან, მხარეებს შორის გამართული შეხვედრისას ლიბანის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების არაღიარების საკითხიც იქნა განხილული. შეხვედრებზე ასევე განიხილეს მომავალში ორი ქვეყნის ოფიციალურ პირთა ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს ლიბანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საქართველოს პოზიციების განმტკიცებას. ვიზიტი აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ლიბანის რესპუბლიკის, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყნის ევროკავშირთან ურთიერთობების გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით. 2010 წლიდან ლიბანი გაეროს-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყანა ხდება. **პირველი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო რუსი ჭარისკაცის დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ქართული სპეცსამსახურების მიერ რუსი ჯარისკაცის აღუქსანდრე გლუხოვის თითქოსდა დაკავების შესახებ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადება სრული სისუფლეა, ჯარისკაცი ქართულ პოლიციას საკუთარი სურვილით ჩაბარდა და მას თბილისში ცხოვრება სურს. გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალგორიდან გამოქცეული რუსი ოკუპანტის ჩვენების ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, რომელშიც ის პყვება, რომ ოკუპირებულ ზონაში არაადამიანურ პირობებში უწყვედა სამსახური, არ შეიძინა საკვები და ელემენტარული სოციალური პირობები. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კი აცხადებს, რომ "ალექსანდრე გლუხოვი ქართველმა ძალოვნებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ახალგორის რაიონში დააკავეს და თბილისში გადაიყვანეს. მოსკოვი საქართველოსგან უმცროს სერჟანტ ალექსანდრე გლუხოვის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. **პირველი**

ოსური მხარის მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე 15 დაკავებული რჩება

ოსური მხარის მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაკავებული 15 ადამიანი რჩება. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადამიანის უფლებათა დამცველ დავით სანაკოვეის განცხადებით, ქართული მხარე ოსი ეროვნების 15 ადამიანს უკანონო პატიმრობაში ამ დრომდე ტოვებს. "ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე 15 მშვიდობიანი მცხოვრები რჩება, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში ქართულმა მხარემ გაიტაცა ან უკანონოდ დააპატიმრა. 4 მათგანი ქართული აგრესიის დროს ტყვედ აიყვანეს, თუმცა ამას ქართული მხარე დღემდე არ აღიარებს, 11 კი აგვისტოს ომის შემდეგ არის უკანონოდ დაკავებული ან გატაცებული", - განაცხადა სანაკოვემა და დასძინა, რომ "ოსური მხარე მზად არის მოლაპარაკებებისთვის." **პირველი**

აფხაზმა სეპარატისტებმა ქართული სოფლები იზოლაციაში მოაქციეს

აფხაზმა სეპარატისტებმა გალის რაიონის ხუთი ქართული სოფელი სრულ იზოლაციაში მოაქციეს - აფეთქეს ხიდი, რომელიც ამ სოფლებს ზუგდიდის რაიონთან აკავშირებდა. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ თორნიკე კილანავამ განაცხადა, რომ დილის საათებში ოკუპანტებმა თავილონი-შამგონას დამაკავშირებელი ხიდი მეორედ აფეთქეს. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია. პირველი აფეთქების შემდეგ მოსახლეობამ ხიდი საკუთარი სახსრებით აღადგინა, რადგან გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებს ზუგდიდთან მხოლოდ ეს გადასასვლელი აკავშირებდათ. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქებისას კონფლიქტიც მოხდა. სეპარატისტებმა რუსების მანქანას ცეცხლი გაუხსნეს, საპასუხო ცეცხლი კი ოკუპანტებმა ტყვიამფრეველებიდან გახსნეს. დაჭრილია ერთი აფხაზი სეპარატისტი. ამ დროისათვის გალის დაბალი ზონის სოფლებისკენ გზა გადაკეტილია და მოსახლეობა სრულ იზოლაციაშია. **პირველი**

ოპოზიციური მოლოდინის რეჟიმი ბრძელდება

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს წინ უსწრებს საზოგადოების მოლოდინი, დაინახოს სიახლე ამ პროცესებში. ოპოზიციის გაერთიანების იდეა ჯერჯერობით "რესპუბლიკელების" და "მემარჯვენეების" პოლიტიკურ ალიანსს ვერ გასცდა. თუმცა ოპოზიციონერი პოლიტიკოსები კვლავ აცხადებენ, რომ კონსულტაციები გრძელდება და გარკვეულ შედეგებს უახლოეს პერიოდში ვიხილავთ. დღეისთვის არსებული ინფორმაციით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს როგორც ოპოზიციურ ძალებს, ასევე ირაკლი ალასანიასა და ცალკეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. "24 საათმა" რამდენიმე შეკითხვით "მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერს მანანა ნაჭყეტიას მიმართა.

პარიკო ტიხვაძე

- "24 საათისთვის" ათიოდ დღის წინ მიცემულ ბლიც-ინტერვიუში, თქვენი პარტიის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ პოლიტიკურ პარტიებთან და ცალკეულ პირებთან ერთობის მიღწევის მიზნით, "მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსის კონსულტაციები ფინალს უახლოვდება და შედეგები მედიისთვის, მაქსიმუმ, თვის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. დღეისთვის სიახლე არსებობს?

- კონსულტაციები ისევე გრძელდება და ჯერჯერობით ახალი არაფერია. - პროცესის გაჭიანურება იმას ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ალიანსის გაფართოება არარეალური ანუ პოლიტიკურ ჯგუფებთან თუ ცალკეულ პირებთან საერთო ენის გამოჩვენება ვერ ახერხებთ? - არანაირად. პროცესის გაჭიანურების მიზეზი ტექნიკური საკითხებია და არა რაიმე უთანხმოება. მესმის, რომ არსებობს საზოგადოების მოლოდინი, მაგრამ მერწმუნეთ, ალიანსის საბო-

ლო სახით ჩამოყალიბებას ობიექტური (და არა სუბიექტური) მიზეზები აფერხებს. ეს მალე დაიძლევა. - ირაკლი ალასანიას ბოლო პერიოდის ინტერვიუების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ზომიერი, განონანსორებული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. რამდენად ნარმოვადგენიათ მისი მონაწილეობა ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლებში? - დავით გამყრელიძე ყოველთვის განონანსორებული და მშვიდი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ადასტურებდა, რომ უკიდურეს ზომებზე წასვლაც შეუძლია. მე მგონი, ეს პოლიტიკოსის დადებითი თვისებაა და არა უარყოფითი. თავად ირაკლი ალასანიამაც არ გამოიჩინა საჭიროების შემთხვევაში აქციებში მონაწილეობა. თანაც, მე თუ მეკითხავთ, ნონანსორობა მიტინგზე შეიძლება შეინარჩუნო და პირიქით - კა-

ბინეტშიც შეიძლება გქონდეს ნონანსორობის დაცვის პრობლემა. ჩვენ შევეცდებით, განსაკუთრებული საჭიროების გარეშე ხალხი ქუჩაში არ გამოიყვანოთ. მაგრამ თუ აუცილებელი გახდა, პოლიტიკური ბრძოლის ამ მეთოდზე უარს ვერ ვიტყვით. - ზოგადად როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ალიანსის და ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მომავალი? - ჩვენ ვსაუბრობდით ალასანიასზე, როგორც სასურველ პარტნიორზე. ეს პოზიცია დღესაც უცვლელია. მასთან კონსულტაციები კვლავ გრძელდება. რაც შეეხება ალასანიას და ჩვენი ალიანსის პოლიტიკურ მომავალს, ამაზე ჯერ ვერაფერს ვთქვით პროგნოზს, ვერაფერს იტყვის, როგორ განვითარდება მოვლენები. თუმცა შეიძლება ითქვას, არსებობს წინაპირობა, რომ ეს თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერი გამოდგეს.

ლეიბორისტები

ჭანდაცვის მინისტრს შეხვდნენ

ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა კახა ძაგანიამ და სოსო შატბერაშვილმა ჯანდაცვის სამინისტროს წინ პრიფინგი გამართეს. მათ გააპროტესტეს სამინისტროს მიერ წამოწყებული რეფორმა, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვა მთლიანად სადაზღვევო სისტემაზე უნდა გადავიდეს. ბრიფინგის დაწყებამდე პარტიის ლიდერები შეხვდნენ თავად მინისტრს და თავიანთი პრეტენზიები გააცნეს. ისინი აცხადებენ, რომ საქართველო ჯერ მზად არ არის ამ რეფორმისთვის. სოსო შატბერაშვილის განცხადებით,

დასახვეწია სადაზღვევო კომპანიების მომსახურება. "ლეიბორისტთა" ლიდერებისთვის მიუღებელია ის არათანასწორუფლებიანობა, რომელშიც ეს რეფორმა ხალხს აყენებს. შატბერაშვილის თქმით, იმ ადამიანებს, რომლებიც თვითდასაქმებულები არიან, არ აქვთ დაზღვევის ფულის გადახდის საშუალება - მაგალითად, ტაქსის მძღოლებს, ბაზარში მოვაჭრეებს და ა.შ.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერების და ალექსანდრე კვიციანიშვილის შეხვედრა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. მინის-

ტრმა მათ პრეტენზიებს თავისი არგუმენტებით უპასუხა. კვიციანიშვილის განცხადებით, ის პრეტენზიები, რაც მან მოისმინა, უსაფუძვლოა და არაზუსტი. კვიციანიშვილის თქმით, ამ რეფორმის ფარგლებში იგეგმება არა ერთი პროგრამა, ეს ეხება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანებს და ასევე თვითდასაქმებულებს. ადრინდელთან შედარებით, უკვე გაზრდილია და კიდევ უფრო გაიზრდება სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი დაზღვეული ადამიანების რაოდენობა, ხოლო თვითდასაქმებულთა პრობლემა მოგვარ-

„იაფი კრედიტის“ ფარგლებში

ბანკსადაბაზის მიღება თიბარვალში დაიწყება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, "იაფი კრედიტის" ფარგლებში პროექტები რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმით შეირჩევა, კერძოდ: ძირითადი საშუალებების შექმნა, დასაქმების ეფექტი, ბენეფიციართა რაოდენობა, ადამიანურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნილი, ფინანსური და მატერიალური თანამონაწილეობის ზომა, ახალი ტექნოლოგიების წარმოება, დროის მოკლე პერიოდი და კრედიტის უზრუნველყოფა უძრავი ქონებით. ასევე ის თუ რამდენად

პრიორიტეტულია რეგიონისათვის დარგი. "იაფი კრედიტი"-ს სახელმწიფო პროგრამა კერძო მენარმენტისთვის შეღავათიან კრედიტს ითვალისწინებს. სესხები 12 პროცენტთან განაკვეთით, 7 წლის ვადით გაიცემა, საიდანაც 2 წელი საშუალოდ უფრო დაფინანსდება 116 პროექტი, მათ შორის - 62 სანარმო. პროექტების საერთო ღირებულებამ სულ 43.3 მილიონი ლარი გათვალისწინებულია. თანხები სოფლის მეურნეობის სექტორზე, ხალხთა რეზერვსა და ტურიზმის განვითარებაზე იქნება მიმართული.

როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, კრიტერიუმის მიხედვით შერჩეულ პროექტებს საშუალო ჯგუფი განიხილავს. პროექტების პრეზენტაცია მთავრობის სხდომაზეც მოხდება. 2008 წელს სახელმწიფო პროგრამა "იაფი კრედიტის" პროგრამის ფარგლებში სულ დაფინანსდა 116 პროექტი, მათ შორის - 62 სანარმო. პროექტების საერთო ღირებულებამ სულ 43.3 მილიონი ლარი შეადგინა. პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციართა რაოდენობა კი დაახლოებით 35 000 ადამიანი იყო.

თებერვლიდან სამინისტროში "მომსახურების ცენტრიც" დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც მენარმე-სუბიექტების განაცხადების მიღებას უზრუნველყოფს. ცენტრი ერთი ფანჯრის პრინციპით იმუშავებს, სადაც შესაძლებელი იქნება "იაფი კრედიტის" ფარგლებში განაცხადების მიღება, საკონსულტაციო მომსახურება, სერტიფიკატების გაცემა, პრივატიზებისა და ქონების მართვის საკითხები გარკვევა, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემა და ა.შ. **24 საათი**

პროფკავშირები აქციას გეგმავს

28 იანვარს, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა. მან განიხილა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს უმუშევრებისთვის შემწეობის დაწესებას, საშუალოდ დათხოვნილთა ფულადი კონპენსაციისა და დეკრეტული შევებულების ანაზღაურების გაზრდას და სამედიცინო დაზღვევის ყველასთვის ხელმისაწვდომობას.

პეტრიაშვილის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკური კრიზისის ფონზე, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა. შესაბამისად, ამ ეტაპზე აუცილებელია დაწესდეს უმუშევართა შემწეობა და დაენიშნოს მათ 55 ლარი, პენსიის სახით. ეს მთლიანად მოიცავს 115 მილიონ ლარს. პროფესიული კავშირების გაერთიანება კანონპროექტში ასევე განიხილავს დეკრეტული შევებულების ანაზღაურებ-

ის გაზრდას. ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, დამსაქმებლებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მათ მიერ დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. მისივე ცნობით, სახელმწიფოს მიერ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სამედიცინო დაზღვევა არასაკმარისი დონის იქნება, რადგანაც, ისინი, ვისაც საშუალო შემოსავალი აქვთ, გაძვირებული სამე-

დიცინო მომსახურების გამო, სიღატაკის კატეგორიაში ექცევიან. პეტრიაშვილის ცნობით, 27 იანვარს დაიწყება ამ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეების ხელმონერების შეგროვება პარლამენტში წარსადგენად, ხოლო 2009 წლის 3 თებერვალს, 15.00 საათზე მშვიდობიანი აქცია ჩატარდება საქართველოს პარლამენტის შენობის წინ. **24 საათი**

ბათუმში "თიზისი ბანკის" ახალი ოფისი გაიხსნა

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ეკონომიკას სიმტკიცის მარაგი გააჩნია, რის საფუძველზეც მოხერხდა ბიუჯეტის დაბალანსება. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ლარის კურსი შენარჩუნდება და ქართულ ვალუტას საფრთხე არ დაემუქრება.

"ჩვენ შევასრულეთ ჩვენს 50-თვიან გეგმას, როგორც კი ეკონომიკა დასტაბილურებას დაიწყებს მსოფლიოში".

საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი საბანკო სისტემას, ფართომასშტაბიანი დაკრედიტების განახლების მიზნით, სახელმწიფოსგან დახმარებას პირდება. მიხეილ სააკაშვილმა საბანკო სექტორში განხორციელებულ შემცირებებზეც ისაუბრა და საბანკო სისტემის წარმომადგენლებს მოუწოდა, ყველა სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სამსახურში დააბრუნონ. "ჩვენ შევქმენით სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის უნიკალური პრეცედენტი. ეს ნიშნავს იმას, რომ ხდება ხალხის დასაქმება და კვალიფიკაციის ამაღლება. საქართველოში, რა თქმა უნდა, არის ეკონომიკური შენელება, მაგრამ ჩვენზე ჯერჯერობით არ მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ჩვენ მოვახერხებთ საბანკო სისტემის სტაბილურობა, იმ ფონზე, როცა მსოფლიოს ბევრ ქვეყნებში საბანკო სისტემა ჩამოიშალა. საბანკო სექტორმა ბევრი კომპე-

ტენტური ადამიანი სახლში გაუშვა. ეს სიტუაცია არ არის ნორმალური და მინდა ვთხოვო ყველას, რომ სიტუაციის შედარებით გაუმჯობესებისთვის ეს ადამიანები დააბრუნეთ სამსახურში".

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, თუ სახელმწიფო და ბიზნესი გააგრძელებენ პარტნიორობას, ფართომასშტაბიანი დაკრედიტების განახლება შესაძლებელი იქნება.

"მესმის, რომ საბანკო სექტორს აქვს შიშები ფულის გასესხებასთან დაკავშირებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ ფართომასშტაბიანი დაკრედიტების განახლებას. ამას სჭირდება ძალიან სერიოზული პარტნიორობა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის და ჩვენ ამ პარტნიორობისათვის მზად ვართ", - განაცხადა პრეზიდენტმა.

"ხელისუფლების როლი ბიზნესთან პარტნიორობა, მისი ინტერესების გათვალისწინება, ასევე ბიუჯეტის დაბალანსება და პოლიტიკური სტაბილურობაა. თუ დღეს ვინმე ფიქრობს, რომ საკუთარი ამბიციებსა და კაპრიზებს საქართველოს გადავადგომებით და ქვეყანაში რამეს ავრევთ, ძალიან ცდება. საქართველოს მთავრობა პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად უკან არასდროს დაიხევს", - ამასთან, სააკაშვილმა საზოგადოებას იმის გარანტიაც მისცა, რომ "მისი მთავრობა არა მხოლოდ შეინარჩუნებს სტაბილურობასა და დაიცავს კანონით აუცილებელ ყველა ნორმას, არამედ საქართველოს ყველაინარი შიდა და გარე რყევებისგან დაიცავს".



City Heart-ის პროექტი თბილისის ბულიდან ქრება

თინა შავაძე

დედაქალაქის ცენტრში, ყოფილი "დეზერტირების" ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც City Heart-ი უნდა აშენდეს, საძირკველი გასული წლის ზაფხულში ჩაიყარა. სააგენტო "პირველი"-ს ინფორმაციით, შესაძლოა არსებულ პროექტზე ინვესტორებმა უარი განაცხადონ და ის კვლავ გაიყიდოს. როგორც ირკვევა, ებრაელმა ინვესტორმა ობიექტის შეძენისას ადგილმდებარეობის ვარგისიანობა ვერ გათვალა და მრჩეველიც არავინ აღმოაჩინდა, რომ ეთქვა, ამ შენობის ქვეშ მეტროს ხაზი გადის და საძირკველი აშენება შეუძლებელი იქნება.

გასულ წლის ივლისიდან, როცა საძირკველში პირველი ქვა ჩაიდო, დღემდე გარკვეული სამშენებლო სამუშაოები შესრულდა. ამის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ტერიტორიის ქვეშ მეტროს ხაზი გადის და ეს 35-სართულიანი ცათამბჯენის არიან ქართული კომპანიები: "თერგი" და "კოლხა", ხოლო უცხოური კომპანიებიდან - ებრაელი "ვარტელი" და ბულგარული "მორფონდი". ქართველ პარტნიორებთან ერთად უცხოელი ინვესტორები თელავივიდან და ვარიდან, გასულ წლის, ივლისში, სპეციალურად ჩამოვიდნენ და მონაწილეობა მიიღეს სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ პრეზენტაციაზე.



"24 საათთან" საუბარში ინვესტორებმა დასახული გეგმების შესახებ ისაუბრეს.

კომპლექსი შპს „City Heart“-ის საკუთრებაა და მისი დამფუძნებლები არიან ქართული კომპანიები: "თერგი" და "კოლხა", ხოლო უცხოური კომპანიებიდან - ებრაელი "ვარტელი" და ბულგარული "მორფონდი". ქართველ პარტნიორებთან ერთად უცხოელი ინვესტორები თელავივიდან და ვარიდან, გასულ წლის, ივლისში, სპეციალურად ჩამოვიდნენ და მონაწილეობა მიიღეს სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ პრეზენტაციაზე.

რა უნდა აშენებულიყო დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში, სადაც წლების განმავლობაში საქართველოს ყველა კუთხიდან ფერმერები სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ყიდდნენ? თუმცა, ვაგზლის ბაზრობაზე აგრარული პროდუქციის გარდა ათასი წვრილმანი, მათ შორის ხელით ნაკეთი საოჯახო ნივთებიც იყიდებოდა. ამ ეტაპზე უმუშევრად დარჩენილი "ვაგზლის ბაზრობის" მოვაჭრეები ახალი კომპლექსის მშენებლობას დიდი იმედით ელოდებიან. პირველადი გეგმის თანახმად 2 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე 100 ათას კვადრატული მეტრის

კომპლექსი აშენდება. ორი 35 სართულიანი ცათამბჯენის პირველი სამი სართული სავაჭრო ცენტრს დაეთმობოდა, ხოლო დანარჩენი, სახორცეო სახლი იქნებოდა. რაც მთავარია, City Heart-ის გენერალური დირექტორი და შპს "თერგი I"-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი მუხრან ბაგრატიონი აცხადებდა, რომ კომპლექსის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი აგრარული ბაზარი აშენდება და იქ ის 2500 ადამიანი დასაქმდება, რომლებიც ამჟამად ბაზრობის ტერიტორიაზე მუშაობენ. ბაგრატიონის განმარტებით, City Heart-ი სავაჭრო, გასართობი, საცხოვრებელი და დასასვენებელი კომპლექსი იქნება, სადაც ჰიპერმარკეტები, მაღაზიები, რესტორნები, კაფე-ბარები, კინოთეატრები, ინტერნეტ-კაფეები, ბანკები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, საბავშვო გასართობი მოედნები, ავტოსადგომები და ბიზნესცენტრი განთავსდებოდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ City Heart-ის პროექტის არქიტექტურაზე ქართველი და ებრაელი პროფესიონალების ჯგუფი ერთობლივად მუშაობდა. საქართველოს მხრიდან შეირჩა საპროექტო ორგანიზაცია "გოდაკო", ხოლო ებრაულ მხარეს სამი არქიტექტურული ჯგუფი წარმოადგინა. City Heart-ის მთავარი არქიტექტორი გოგი კვინინაშვილი ამბობდა: "ასეთი მასშტაბის კომპ-

ლექსი საქართველოში ჯერ არ არსებობს. ჩვენი ამოცანაა, ტერიტორია მაქსიმალურად ისე ავითვისოთ, რომ პარკინგისთვის და ინფრასტრუქტურისთვის ადგილი სათანადო დონეზე-თანაბრად განანილდეს, რათა მოვაჭრესა და მომხმარებელს მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ. ამ პროექტის დასრულების შემდეგ, ვაგზლის ბაზრობის ტერიტორია სულ სხვა კატეგორიაში გადავა, ხოლო მდებარეობის მხრივ, ის ძალიან პრესტიჟულ ადგილად გადაიქცევა.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რომ აღნიშნულმა ცნობილმა არქიტექტურულმა ჯგუფმა ვერ გათვალა ის ხარვეზი, რაც City Heart-ის პროექტის განხორციელებას თანახლდა-ობიექტის ქვეშ მეტროს ხაზი გადის.

მაშინ ქართულ-ებრაული კავშირის განთავსების პირველ განაცხადს საქართველოს მხრიდან "მარიოტში" გამართულ პრეზენტაციაზე მხარი დაუჭირა მთავრობის ვიცე-პრემიერმა გიორგი ბარამიძემ. ის თავის მისასალმებელ გამოსვლაში უცხოელ ინვესტორებს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და კიდევ უფრო ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმს დაპირდა. ასეთი მონდომების მიუხედავად აღნიშნული პროექტის განხორციელება საეჭვოა.

კედ-მა კორუფციულ გარიგებაში ექვემდებარებილი დააკავა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული -სამძებრო ღონისძიებების შედეგად, "გლობალ ერთის" გენერალური დირექტორი გიორგი მაჩიტაძე, საქართველოს კონტროლის პალატის საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი თორნიკე გვაზავა და საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი დავით კვასცაძე დააკავეს.

სამართალდამცველების ინფორმაციით, კორუფციული გარიგების შედეგად, დავით კვასცაძემ გიორგი მაჩიტაძეს თორნიკე გვაზავას შუამავლობით კონფიდენციალური ინფორმაცია მიანოდა "საქართველოს ეროვნულ ბანკში" გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც "გლობალ ერთმა" სხვა კონკურსანტებთან მიმართებაში დიდი უპირატესობა მიიღო და ადვილად შეძლო გამარჯვების მოპოვება.

საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

ჯი-ეიჩ-ენი

მაშველებმა 82 წლის ქალის ცხედარი აღმოაჩინეს

მაშველთა ბრიგადამ თბილისში, ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში 82 წლის ნათელა პატარაშვილის ცხედარი აღმოაჩინეს, - როგორც საგანგებო სიტუაციითა საქალაქო სამსახურში აცხადებენ, მოხუცი ქალბატონის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია სამაშველო სამსახურს პატრულმა გადასცა.

როგორც გაირკვა, დაღუპული ქალბატონი სახლში იყო ჩაკეტილი, ის სახლში მარტო იმყოფებოდა.

მედიანოუსი

მეკობრეებმა გემის კაპიტანი მოკლეს

კამერუნის ნაპირებთან განხორციელებული თავდასხმისას მეკობრეებმა ეროვნებით ბერძენი კაპიტანი მოკლეს. ინციდენტი გასულ პარასკევს მოხდა კამერუნის სამხრეთით. მომხდარის შესახებ გვიან გახდა ცნობილი.

მეკობრეები კამერუნის ნაპირებთან ერთდროულად ორ ხომალდს დაესხნენ თავს. კრიმინალებმა ხომალდები დაიტაცეს და მიიძალნენ. არსებული მონაცემებით, მეკობრეთა ნადავლი 5700 დოლარს შეადგენს. თავდასხმის შემდეგ კამერუნის საზღვაო-სამხედრო ძალები მეკობრეებს დაედევნენ, თუმცა, მათი დაკავება ვერ შეძლეს.

მედიანოუსი

მოთხოვნა პროკურატურისა და პარლამენტის მიმართ

"მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი ეკა ბესელია პროკურატურას და პარლამენტს ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის საქმეზე სასწრაფო გამოძიების ჩატარებისკენ მოუწოდებს. როგორც ბესელია აცხადებს, ქიბარ ხალვაშის საჩივარი პროკურატურაში 1 დეკემბერს შევიდა, თუმცა გამოძიება ამ დრომდე არ დაწყებულა.

"ხალვაშმა საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნაც მოითხოვა, თუმცა ამ მოთხოვნას არც ერთი პარტია, მათ შორის არც ჟურნალისტებით დაკომპლექტებული "ქრისტინან-დემოკრატები" გამოხმაურებია", - აცხადებს ეკა ბესელია.

მისივე თქმით, "ხალვაშის საჩივარში ნათლად არის ასახული ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი, დედაქალაქის მერი გივი უფულავა, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა ბოკერია, იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადგიშვილი და სხვა მაღალჩინოსნები მისთვის ტელეკომპანიების "რუსთავი 2"-ისა და "მზის" წილების ძალადობრივი გზით ჩამორთმევაში უშუალოდ მონაწილეობდნენ". მას შემდეგ, რაც ქიბარ ხალვაშმა გენპროკურატურასა და პარლამენტს მაღალჩინოსნების მიერ მისთვის ტელეკომპანიების ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების დაწყებისა და დამნაშავე პირთა სამართლებრივი დასჯის მოთხოვნით მიმართა, საპარლამენტო უმცირესობა სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის დაყენებას გასული წლის დეკემბერში აპირებდა. მაშინ უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ განაცხადა, რომ ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანიას წერილიც გაუგზავნა, თუმცა როგორც ბესელია აცხადებს, მის საადვოკატო კომპანიაში არანაირი წერილი არ შესულა.

როგორც ცნობილია, ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის აქციების 38 პროცენტს და "მზის" 78 პროცენტს ფლობდა.

პირველი

მოსალოდნელი ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში

აკა აქიზაშვილი

სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების რეკომენდაციები გუშინ პარლამენტში, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე, პარლამენტის ოპრიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიკატორი შვილიძემ და ანტიკორუფციულ საბჭოსთან არსებული სამართლებრივი რეფორმების ჯგუფის ხელმძღვანელმა ადვოკატმა წარმოადგინეს.

პროექტი, რომლის პრეზენტაციაც პარლამენტში გაიმართა, ეხება კოდექსის მატერიალურ ნაწილის 22 მუხლს და დაახლოებით 30 საკითხს მოიცავს. კერძოდ, ცვლილებების პროექტი ეხება სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე, 42-ე, 56-ე, 59-ე, 63-ე, 71-ე, 72-ე, 83-ე, 88-ე, 98-ე, 153-ე, 154-ე, 162-ე, 164-ე, 164-ე მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილებს, 156-ე, 169-ე, 273-ე, 260-ე და 261-ე მუხლებს.

პროექტის ავტორების განცხადებით, ცვლილებების პაკეტი უახლოეს დღეებში შესაბამის პროცედურებს გაივლის და საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზეც განიხილება. საგაზაფხულო სესიამდე მომზადდება ცვლილებების მეორე ნაწილიც.

"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობას როგორმე გავაგებინოთ, რომ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ თავისუფალ არჩევნებზე ქვეყანაში, პრესის თავისუფლებზე, ადამიანის შრომის უფლებების დაცვაზე, აუცილებელია სწორედ ამგვარი ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალ-

ურ ნაწილში," - განაცხადა ვიკატორი შვილიძემ.

პროექტი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სასჯელის შეკრების და პირობითი სასჯელის დადგენის პრინციპების გადახედვა, ხანდაზმულობის ვადის და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაში ცვლილებების გატარება, საჯარიმო სანქციების შემცირება და ნარკოტიკული დანაშაულების მუხლების (ნარკოტიკების რელიზაცია და მოხმარება) გამიჯვნა და ლიბერალიზაცია, ასევე სიტყვის თავისუფლების და ჟურნალისტთა სქმიანობაში ხელისშემლის სასჯელების და ხანდაზმულობის ვადების გაზრდა, შესაბამისი მუხლების ეფექტურობის ამაღლება. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ არსებულ დანაშაულთა მუხლების, კერძოდ, არჩევნების გაყალბების, ამომრჩეველთა მოსყიდვის, ხმის უფლების ფარულად დარღვევის, ხმების არასწორად დათვლის და შეჯამების, ყალბი დოკუმენტების საფუძველზე არჩევნებში მონაწილეობის მუხლებში სანქციებისა და პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადების გაზრდას.

პროექტის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარის კვლავ 14 წლამდე აწევას.

"დღემდე არ არის გაზიარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაცია და დაბეჯითებითი მოწოდება, დაუყოვნებლივ აღდგენილიყო 14-წლიანი ზღვარი," - აცხადებს ვიკატორი შვილიძე.

იმ შემთხვევისთვის, თუ მისი რეკომენდაცია სრულად არ იქნება გაზიარებული, დეპუტატს ალტერნატიული წინადადებაც აქვს. კერძოდ, თუ მინი-

მალური ზღვარი არ შეიცვლება, ვიკატორი შვილიძემ შესაძლებლად მიანია, კოდექსში ჩაინეროს, რომ 12-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიმართ სასჯელის სახით არ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, 88-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც სანქციის განახევრებას და საბოლოო სასჯელს განსაზღვავს, კოდექსიდან ამოიღოს.

ვიკატორი შვილიძის სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა პაკეტში ჟურნალისტის საქმიანობისთვის ხელის შეშლისა და არჩევნების გაყალბებისთვის კანონის გამკაცრებასაც ითხოვს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ინიციტივით, სიტყვის თავისუფლების, ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც ზიანი გამოიწვია, 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს. დღეს მოქმედი კანონმდებლობა კი სასჯელად ჯარიმას, გამასწორებელ სამუშაოს ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას აწესებს.

ვიკატორი შვილიძის დამძიმებას ითხოვს ჟურნალისტის პეროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისთვისაც. კერძოდ, ეს დანაშაული დღეს ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებრივი სასარგებლო შრომით ვადით 120-დან 140 საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით 2 წლამდე. ვიკატორი შვილიძის ინიციტივით კი, ეს დანაშაული 1 წლიდან 3 წლამდე თავისუფლებას აღკვეთით უნდა ისჯებოდეს. ხოლო, იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობით, მუქარით ან სამსახურობრივი მდგომარეობის გამოყენებით - 3 დან 5 წლამდე, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

რაც შეეხება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, ვიკატორი შვილიძის სასჯელის გამკაცრებას არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემბისციტში ნების განხორციელებაში ხელის შეშლისთვის ითხოვს. კერძოდ, ეს დანაშაული დღეს 2-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ვიკატორი შვილიძე კი ამ ნორმის 3-დან 5 წლამდე გაზრდას ითხოვს.

ასევე, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება დღეს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, ვიკატორი შვილიძე კი ამ სასჯელის 3-დან 7 წლამდე გაზრდას ითხოვს.

ცვლილებების ავტორთა ინიციტივით, სასჯელი უნდა გაიზარდოს ამომრჩევლის მოსყიდვისთვისაც და 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 2-დან 4 წლამდე დაწესდეს, ხოლო ყალბი დოკუმენტის საფუძველზე, არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლემბისციტში მონაწილეობის მიღებისთვის 2 წლის ნაცვლად, 1-დან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით განისაზღვროს. ამასთან, ცვლილებების შემდეგ, არჩევნების გაყალბება 3-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით უნდა დაისაჯოს, ნაცვლად 2 წლამდე პატირობისა, რასაც დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს.

"ჩვენი პროექტით შევეცადეთ შემოგვეტანა საერთაშორისო სტანდარტები და ევროპული იმპერალური პოლიტიკა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი საერთაშორისო სტანდარტებს მიესადაგოს. განსაკუთრებული ყურადღება ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს მივაქციეთ," - განაცხადა ვიკატორი შვილიძემ.

მოზარდს სკოლის ტერიტორიაზე ნაკოვნი ნაღმი აუფეთქდა

თამარ აბაშაძე

14 წლის მოზარდმა ხელის მტევანი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდარი აფეთქების შედეგად დაკარგა. ვაკეეთილების შემდეგ იოსებ ხარხელი სახლში ბრუნდებოდა, როცა სკოლის შორიანხლოს, ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვა, რომელიც ხელის შეხების შემდეგ გააქტიურდა.

როგორც გორის სამხედრო პოსტილის ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი გოჩა კურდღიაშვილი აცხადებს, აფეთქების შედეგად მოზარდს მონყვეტილი აქვს ხელის

მტევანი და მრავლობითი ჭრილობებები აღენიშნება. იგი სპეციალიზირებულ მკურნალობას თბილისის ლუდუშაორის კლინიკაში გააგრძელებს.

მომხდარს მხარის გუბერნატორიც გამოეხმაურა. ლადო ვარძელაშვილი მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

სამართალდამცველები არკვევენ, თუ საიდან მოხვდა სოფლის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ასაფეთქებელი მოწყობილობა. ამ ეტაპზე ზუსტ კომენტარს ადგილობრივი სამართალდამცველები ვერ აკეთებენ.

სოფელი კირბალი სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას ესაზღვრება და სამართალდამცველები არ

გამრიცხავენ, რომ ნაღმი ამ სწორედ ტერიტორიაზე მათი დადებული იყოს.

ექსპერტი სამხედრო საკითხებში ვახტანგ მისიაია ამბობს, რომ განაღმვითი სამუშაოები სპეციალისტებმა მხოლოდ სამხედრო ობიექტებზე ჩაატარეს, თუმცა ომი ფართომასშტაბიანი იყო და განაღმვითი სამუშაოებიც ფართო მასშტაბით უნდა ჩატარებულიყო. მაისაიას განცხადებით, მომხდარზე პასუხისმდებლობა მთლიანად რუსეთს ეკისრება.

რაც შეეხება ასაფეთქებელ ნივთიერებას, სამართალდამცველების განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მათ შორის სკოლის მიდამოებშიც, განაღმვითი სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო.

რეული იყო. აქედან გამომდინარე, ასაფეთქებელი ნივთიერება ამ ტერიტორიაზე დარჩენილი არ უნდა ყოფილიყო.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, შიდა ქართლში ოკუპანტების მიერ დატოვებული ნაღმების ლიკვიდაციის მიზნით შსს-მ ადგილზე განაღმვითი სამუშაოები ჩაატარა, ამის მიუხედავად რეგიონში ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე მაინც ემუქრება. განაღმვითი სამუშაოების შემდეგ შიდა ქართლში რუსულ ნაღმებზე აფეთქების ფაქტები მაინც ხშირია. დაზარალებულეთა უმეტეს შემთხვევაში მოზარდები არიან.

საკუთარი ინფორმაცია

მკვლელობა სოხუმში და პერსიები

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. შს მინისტრის მოადგილე ზაკან ჯულელია მოკლეს. დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს სოხუმში, კაფე "კიკიში" ნიღბიანმა უცნობმა ორჯერ ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მძიმედ დაჭრილი ჯულელია ადგილზევე გარდაიცვალა.

სააგენტო "პირველის" ინფორმაციით, დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ზაკან ჯულელიას მკვლელობის საქმეზე სისხლის სამართლის საქმე "გამიზნული მკვლელობის" მუხლით აღიძრა. როგორც აფხაზეთის დე ფაქტო პროკურატურაში აცხადებენ, განიხილება მკვლელობის ორი ვერსია. სეპარატისტების მტკიცებით, ორივე შემთხვევაში კვალი საქართველომდე მიდის.

"ზაკან ჯულელია 1992-93 წლებში აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე იყო. გარდა ამისა, ის 2008 წელს კოდორის ხეობაში საომარი ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იყო. ცნობილია, რომ ამის გამო მას არაერთხელ დაემუქრნენ," - აცხადებს დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

მეორე ვერსიის თანახმად, აფხაზეთის მილიციის ხელმძღვანელის მკვლელობის შემკვეთი, შესაძლოა, ქართველი "კრიმინალური ავტორიტეტები" იყვნენ. "ზაკან ჯულელიამ აფხაზეთის გავლით საქართველოდ-

ან რუსეთში ნარკოტრაფიკი აღკვეთა, რის გამოც ქართველი კრიმინალები უკმაყოფილო იყვნენ," - განმარტავს დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

სააგენტო "პირველის" ინფორმაციითვე, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა ზაკან ჯულელიას მკვლელობას რეგიონში არსებულ უმართავ მდგომარეობას უკავშირებს.

"დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ზაკან ჯულელიას მკვლელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კონფლიქტურ რეგიონში უმართავი ვითარებაა. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოუწოდებთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რეგიონში არსებულ ვითარებაზე დროული და ქმედითი რეაგირება მოახდინონ და შესაბამისი ზომები მიიღონ," - განუცხადეს "პირველს" აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობაში.

სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სეპარატისტულ აფხაზეთში არ გამოირიცხავენ, რომ ე.წ. შს მინისტრის მოადგილე უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურებმა მოკლეს.

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. გენპროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის ჯემალ გოგიას განცხადებით, გამოძიება არ გამოირიცხავს, რომ ზაკან ჯულელიას მკვლელობა უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ აფხაზეთში შიდაპოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზების მიზნით იყო ორგანიზებული.

"მათი მიზანი ასევე შეიძლება ყოფილიყო ხელი შეემაღლა აფხაზეთის ხელისუფლებისთვის აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში," - აცხადებს ჯემალ გოგია.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე დარწმუნებულია, რომ სოხუმში დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზინესგარჩევებს ემსხვერპლა.

"შემიძლია, დარწმუნებით გითხრა, რომ დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მორიგი ბიზნესგარჩევების მსხვერპლია. აფხაზეთში ბიზნესინტერესების გამო მსგავსი დაპირისპირებები ხშირად ხდება," - განაცხადა მამუკა არეშიძემ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძის შეფასებით, აფხაზეთში კვირის განმავლობაში მომხდარი მკვლელობები აღნიშნულ ტერიტორიაზე დაჯგუფებულ ბანდფორმირებებს უკავშირდება.

"აფხაზეთში დღისითვის აბსოლუტური უკანონობაა. სანამ აფხაზეთი დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, იქ შედარებითი სიმშვიდე იყო. ჯერ კიდევ საომარ მოქმედებამდე აფხაზეთში შეყვანილი იყო სხვადასხვა ბანდფორმირებები, მათი ნაწილი ავჯისტოს ომის დასრულების შემდეგ გაიყვანეს, ხოლო დარჩენილი ნაწილი თავის რჩენის მიზნით სხვადასხვა დანაშაულებს ჩადის," - განუცხადა "პირველს" ელენე თევდორაძემ.

გამომძიებელი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა

"საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით," შს გურჯაანის სამმართველოს ინსპექტორ – გამომძიებელი 24 წლის გიორგი ჯანჯიბუხაშვილი გუმინინი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ერთი ვერსიით, ის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის დასაკავებლად მივლინებით თბილისში იმყოფებოდა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს. ამ ვერსიას შს გურჯაანის სამმართველოში კატეგორიულად უარყოფენ. სამმართველოს ინფორმაციით, ჯანჯიბუხაშვილი გუმინინის ინფარქტით გარდაიცვალა, თუმცა როგორც გარდაცვლილის ახლობლები აცხადებენ, გიორგი ჯანჯიბუხაშვილი ჯანმრთელობას არასოდეს უჩიოდა.

ჯი-ეიჩ-ენი

ცრუ დასმენასა და დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად მითვისების ფაქტზე მენეჯერი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს, აზერბაიჯანული კომპანიის სასურსათო პროდუქტების საბითუმო დისტრიბუციის მენეჯერი, 36 წლის ბაირამ ბინათოვი, რომელიც ეჭვმიტანილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ცრუ დასმენაში და დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად მითვისების ფაქტზე. მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს 33 954 ლარი. დაკავებულმა დანაშაული აღიარა. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით.

მედიაინფო

ბორანის ჩაძირვის შედეგად 39 ადამიანი დაიღუპა

ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ ვინის სამხრეთით სამდინარო ბორანი ჩაიძირა. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, დაღუპულია 39 ადამიანი, ხუთი მგზავრი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნევა. ნყლიდან 40 ცხედარია ამოღებული, მათ შორის, 27 ქალისა და 14 არასრულწლოვანი გოგონასი. ბორანი სანაპიროდან 20 მეტრში ჩაიძირა. გავრცელებული ინფორმაციით, ბორანის ჩაძირვის მიზეზი გადატვირთვა გახდა, რადგან, 12 ადამიანზე განკუთვნილი ტრანსპორტით 80 მგზავრი გადაჰყავდა.

მედიაინფო

დიდ ბრიტანეთში სასტელი გაამკაცრეს

დიდ ბრიტანეთში "მარისუანას" შენახვა-გავრცელებისთვის სასჯელი გაამკაცრეს. ექსპერტების რეკომენდაციის მიუხედავად, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ "მარისუანას" სახიფათო ნარკოტიკების სიაში შეიტანა და ამფეტამინებს გაუთანაბრა. შესაბამისად, დიდ ბრიტანეთში "მარისუანას" გავრცელებისთვის სასჯელი, რომელიც 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, 5 წლამდე გაიზარდა.

ჯი-ეიჩ-ენი

უზენაესა სასამართლომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი განმარტება გააკეთა

კანონის მიხედვით გარკვევის მტყუან-მართალი - ასე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ სასამართლოს ფუნქცია, თუმცა, ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ქვეყნის მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს - უზენაეს სასამართლოს სხვა ფუნქციაც აქვს: განმარტოს ისეთი კანონი, რომელიც ბუნდოვანია და რომელიც ხელს უშლის მართლმსაჯულების თანასწორად აღსრულებას. რეფორმირებული უზენაესი (საკასაციო) სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაც ხომ სწორედ ნორმის განმარტებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვას უკავშირდება. თუმცა, სანამ უშუალოდ სამართლებრივი ნორმის განმარტების შესახებ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შემოგთავაზებთ, იმ საქმის შესახებ მოგიხსნებთ, რომელიც საფუძვლად დაედო კონკრეტული ნორმის განმარტებას.

"ბოლო განჩენი"

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 27 ივლისის განჩენით, კახაბერ ჯ. დამნაშავედ ცნო ყაჩაღობის ჩადენაში და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, აქედან სამი წელი მას ციხეში უნდა გაეტარებინა, ხოლო დარჩენილი ნაწილი სასამართლომ პირობითი ჩაუთვალა. განჩენი ძალში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

იმავე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2006 წლის 25 ოქტომბრის განჩენით, კახაბერ ჯ. ამჯერად ქურდობაში ცნო დამნაშავედ და მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ აქაც გამოიყენა პირობითი მსჯავრი და კახაბერ ჯ-ს დანიშნული სასჯელიდან სამი წელი პატიმრობა, ხოლო 2 წელი პირობითი გამოსაცემელი ვადა განუსაზღვრა.

როცა სასამართლომ კახაბერ ჯ-ს მეორე განჩენი გამოუტანა, იგი უკვე პირველი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. მას სასჯელის მოხდა 2006 წლის 15 მარტიდან ანუ დაკავების მომენტიდან დაიწყო.

ასეთი შემთხვევები არც თუ იშვიათად ხდება ჩვენს რეალობაში. დამნაშავეს ერთი დანაშაულისთვის აკავებენ, ასამართლებენ, მაგრამ პარალელურად, მას სხვა დანაშაულიც უმტკიცდება და იმ ახალი დანაშაულისთვისაც ასამართლებენ და უსჯავენ სასჯელს.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კანონმდებლობა სასჯელთა შეკრების პრინციპს იყენებს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ერთი პირის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაული ერთ საქმედ არის გაერთიანებული და მას ერთი სასამართლო იხილავს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონკრეტული ამბავი კი სრულიად განსხვავებული ფაქტისაა, ანუ სხვადასხვა დროს გამოტანილი განჩენებით დადგენილი სასჯელები შეკრებილი არ არის. რა სასჯელი უნდა განესაზღვროს ამ შემთხვევაში დამნაშავეს? უნდა შეიკრიბოს ეს სასჯელები თუ მხოლოდ ბოლო განჩენი უნდა დარჩეს ძალში. ალბათ, საინტერესოა, რას ამბობს კანონი ამგვარი შემთხვევების შესახებ.

ზოგჯერ კანონსაც ჭირდება განმარტება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოაღნიშნული შემთხვევები ჩვენს რეალობაში არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც ხდება და იგი ისეთ საქმეებს ეხება, როდესაც ერთი მსჯავრდებულის მიმართ ორი ან მეტი სხვადასხვა სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩენები და ისინი არ არის შეჯამებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა, კანონში არსებული ჩანაწერის განმარტებას მხარეები სათავისოდ ცდილობდნენ.

ამჯერად კანონში არსებული მუხლების შესახებ გამართული დისკუსიების აღწერით არაიურისტ მკითხველს არ გადავდელით და ვეცდებით, მარტივად ავხსნათ, თუ როგორ განსაზღვრავს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული სამართლებრივი პრობლემა (საკითხით დაინტერესებულ იურისტებს კი ამომწურავი ინფორმაციის მოძიება უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდის მეშვეობით შეუძლიათ - www.supremecourt.ge).

დავა, პირველ რიგში, "ბოლო განჩენის" გამოტანის სასამართლოს დადგენის საკითხს შევხებოდა.

საკასაციო პალატამ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ "ბოლო განჩენის გამოტანის სასამართლოდ მოიაზრება სისრულეში მოუყვანელ განჩენებს შორის ყველაზე გვიან გამოტანილი განჩენის მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო და არა ზოგადად ყველაზე გვიან მიღებული განჩენის გამოტანის სასამართლო, რომელიც შეიძლება იყოს სააპელაციო სასამართლოც."

პალატის განმარტებით, ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ განჩენით ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის და სასჯელთა შეჯამება ფაქტობრივად ხორციელდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. საკასაციო სასამართლო მიუთითა, რომ ასეთი შეკრება უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იმ მუხლების შესაბამისად, რომლებიც ან-ესრიგებდნენ განჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისა და სასჯელთა შეჯამების საკითხებს.

ასე რომ, საკასაციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დღემდე სადავო ნორმის განმარტებასაც დაეცვა საბოლოო წერტილი და ამით, უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრესამსახური

**საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი**



**აცხადებს მიღებას
მაგისტრატურაში:**

- ▶ **ჰუმანიტარულ**
- ▶ **საბუნებისმეტყველო**
- ▶ **სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების**
- ▶ **მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებებით**

საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლების წლიური ღირებულებაა: სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების სპეციალობებში 5000 ლარი, ხოლო დანარჩენი მიმართულებების სპეციალობებში — 3000 ლარი.

სწავლების ღირებულების 50%-ს აფინანსებს საქართველოს საპატრიარქო

სწავლების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი (დედანი, ასლი); 4 ფოტოსურათი (3X4); პირადობის მოწმობა (დედანი, ასლი); სარეკომენდაციო წერილი.

საბუთების მიღება 2009 წლის 20 თებერვლამდე

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 25 82 43/46
მისამართი: ი. ჭავჭავაძის 53ა

ინფორმაციას სათანადო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი ხელმძღვანელების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ვებგვერდზე
www.sangu.ge

დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი იხსნება

დღეს დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - 2009 გაიხსნება. ფორუმის დევიზია "პოსტკრიზისული მსოფლიოს ფორმირება". ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში 96 ქვეყნის სახელისუფლებო, ბიზნესსტრუქტურების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების 2 500-მდე წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე 43 ქვეყნის და მთავრობის მეთაურს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ შორის გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნს ელოდებიან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - 2009 პირველ თებერვლამდე გაგრძელდება. **მედიანიუსი**

მსოფლიოში ნავთობის ფასი შემცირდა

მსოფლიოში ნავთობის ფასი შემცირდა. 2009 წლის 26 იანვარს მსოფლიოს ნამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 46,96 (-1,41) აშშ დოლარი ბარელზე, ხოლო Light Sweet Crude Oil ტიპის ნავთობის ფასმა 45,73 (-0,74) აშშ დოლარი ბარელზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

ჩავესი: ოპეკმა შესაძლოა კიდევ შეამციროს ნავთობის მოპოვება

ვენესუელის პრეზიდენტი უგო ჩავესის განცხადებით, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) შესაძლოა, შეამციროს ნავთობის მოპოვება კიდევ 4 მლნ ბარელით დღეში. ჩავესის განცხადებით, ოპეკი შესაძლოა ნავიდეგ ისეთ ღონისძიებებზე, რომ ნავთობის ფასის მკვეთრი შემცირება არ დაუშვას. თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება მოპოვების შემცირების შესახებ, ვენესუელა, რომელიც ოპეკის წევრია, მზად არის მის შესასრულებლად. "თუ ოპეკი გადაწყვეტს მოპოვების შემცირებას, ჩვენც შევამცირებთ," - დასძინა ჩავესმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთის საგარეო უწყება "ჰიუმან რაითს უოთრის" დასკვნას აპროტესტებს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკმაყოფილოა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოთრის" მოხსენებით, რომელიც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს ეხება. უწყება შემოთვალის განმარტებას, რადგან დოკუმენტში ქართული მხარისთვის პასუხისმგებლობა დაკისრებული არ არის. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე სპეციალური განცხადებაც გამოაქვეყნა. "მოხსენებაში, ძირითადად, საუბარია რუსეთისა და ოსური დანაშაულების პასუხისმგებლობაზე, ასევე რუსეთის არაპროპორციულ ქმედებებზე. ეს პოზიცია აქამდე გამოქვეყნებული ანალოგიური ანგარიშებისგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. **მედიანიუსი**

გაეროში აშშ-ს მუდმივ წარმომადგენლად სუზან რეისი დაინიშნა

ნიუ-იორკში, გაერო-ს შტაბში სუზან რეისმა გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნს აშშ-ში გაერო-ს მუდმივი წარმომადგენლის უფლებამოსილება გადასცა. ინფორმაციას გაერო-ს პრესცენტრი ავრცელებს. სუზან რეისმა ურუნაღისტებთან საუბარში განმარტა, რომ ბან კი მუნსთან პირველ შეხვედრაზე მთელი რიგი პრობლემების ტური საკითხები განიხილეს - გლობალური დათბობა, ათასწლეულის მიზნების მიღწევა, ვითარება სუდანსა და ახლო აღმოსავლეთში, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საკითხები. მისივე განმარტებით, გაერო-ს გენერალური მდივანი საკითხების გადაწყვეტაც შედის, რომლებიც აშშ-სთვის პრიორიტეტს წარმოადგენენ. რეისმა განმარტა, რომ ამერიკა კვლავ შემოფოთებულია ირანის ბირთვული პროგრამით. "ამერიკა ამ პრობლემის გადასაწყვეტად ძალ-ღონეს არ დაიშურებს და პირდაპირი მოლაპარაკებების ხერხსაც გამოიყენებს," - დასძინა რეისმა. გაერო-ში ამერიკის მუდმივი წარმომადგენელი 44 წლისაა და აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში მუშაობდა. ზღო კლინტონის ადმინისტრაციაში კი მას აფრიკის ქვეყნებში სახელმწიფო მდივნის თანამშენის თანამდებობა ეკავა. **ჯი-ეიჩ-ენი**

იემენში აშშ-ს საელჩოს ემუქრებიან

იემენში აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის საელჩოების დაცვა გააძლიერეს, რადგან ამერიკის დიპლომატიურმა უწყებამ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ მუქარის შეტყობინება მიიღო. უცნობაა საელჩოში ტელეფონით დარეკა და მოპასუხეს აუწყა, რომ ალ ქაიდას მებრძოლები უახლოეს საათებში რუსეთის და ამერიკის საელჩოებში ტერორისტულ აქტებს მოახდენენ. იემენის პოლიციას საელჩოებთან ბლოკ-პოსტები აქვს მონწყობილი, ახლო უბნებში გამაჯვრებულია გადაადგილება. უკანასკნელი მონაცემებით, ამერიკის საელჩოს ხელყოფა რამდენიმე შეიარაღებულმა ადამიანმა ცხადა და ცეცხლი გახსნა. დაცვამ მათი მოგერიება მოახერხა. ინციდენტისას არავინ დაშავებულა. პოლიციამ რამდენიმე თავდამსხმელი დააკავა. ამ ეტაპზე მათი ვინაობა არ ხმაურდება. **მედიანიუსი**

საქართველო იარიში დაზას საქორში

ხათუნა ბაბიჯი

დაზას სექტორში სამხედრო ოპერაციის შეწყვეტის შემდეგ ისრაელის მხრიდან კვლავ განახლდა საჭაერო იერიშები. "ბი-ბი-სი"-ს ცნობებით, საავიაციო დარტყმის გარდა, გუშინ ისრაელის ჯარმა საზღვარი ტანკებითა და ბულდოზერებითაც გადაკვეთა.

გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა სექტორის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ ხან იუნისის მახლობლად. პანიკაში ჩავარდნილი მოსახლეობა სახლებს ტოვებდა.

პალესტინელი ბოვიეების ანკლავში შეჭრა საზღვარზე ისრაელის პატრულზე თავდასხმას მოჰყვა, რასაც ერთი ისრაელელი ჯარისკაცი ემსხვერპლა, ხოლო სამი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

ეს ყველაზე სერიოზული ინციდენტი მას შემდეგ, რაც მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გააკეთეს განცხადება.



AFP - 2009

დაემა. სამშვიდობო მზადყოფნა ორივე მხარემ 17 და 18 იანვარს გამოთქვა.

რაც შეეხება საზღვარზე ისრაელის პატრულზე განხორციელებულ თავდასხმას, პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. დაზას სექტორში საპასუხოდ განხორციელებული იერიშის დროს კი

დაიღუპა რამდენიმე ექიმი და ერთი პალესტინელი გლეხი, ხოლო ორი ადამიანი დაიჭრა, რომელთაგან ერთი "ჰამასის" წევრი იყო.

პალესტინური წყაროების თანახმად, ანკლავში ისრაელის ჯარი 20 ტანკითა და შვიდი სამხედრო ბულდოზერით შევიდა.

სამთავრობო კრიზისი ლატვიაში

ისლანდიის მაგალითი მისაბადი ხდება

მთავრობა ახალი მინისტრებით, რომელთაც კონსტიტუციის შესაბამისად თავად ახალი პრემიერი შეარჩევს და არ იქნებიან პარტიული სიით შერჩეულნი. ახალი მმართველი კოალიცია არსებულის გაფართოების გზით უნდა შეიქმნას," - მიიჩნევს პარტია "ახალი დროების" წარმომადგენელი.

თუმცა, სახელმწიფო მკონტროლებელმა ინგუნა სუდრაბამ, რომლის კანდიდატურაც "ახალი დროების" პარტიამ პრემიერის პოსტზე წარადგინა, სამშაბათს ოფიციალურად აპირებდა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ივარ გოდმანისის გადადგომის მოთხოვნას. პარტიის წარმომადგენელ სოლოვიტა აბოლტინიას თქმით, ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება უკვე გაკოტრებულია.

"პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, გოდმანისის გარდა, სხვა შესაფერის კანდიდატურას ვერ ხედავს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს სჭირდება ახალი ხარისხიანი

საერთო ენის გამონახვის იმედს არ კარგავენ, თუნდაც კოალიციის გაფართოების გარეშე," - აღნიშნა, თავის მხრივ, "სახალხო პარტიის" ლიდერმა მარეკ სეგლინმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ზატლერსის თქმით, საუბრები ნაყოფიერი იყო, რადგან განიხილეს მანამდე სეიმისა და მთავრობის წინაშე დაყენებული ამოცანები. თუმცა, პრეზიდენტმა კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმაც არ დაიზარა ახალი კოალიციის შესახებ პარტიათა წარმომადგენლების მიერ გამართულ დებატებზე საუბრისას.

"პარტიებმა დავა დაიწყეს პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ კონკრეტულ შედეგებამდე ჯერ არ მისულან," - განაცხადა ზატლერსმა და იქვე ისიც დასძინა, რომ პრემიერ-მინისტრი გოდმანისი კოალიციის მხრიდან არის უფლებამოსილებით აღჭურვილი, მონაწილეობა მიიღოს ყველა ოპოზიციურ პარტიასთან მოლაპარაკებებში.

მასმედის თანახმად, პრეზიდენტი მზად არის, იყოს სეიმ-

ის (რესპუბლიკის პარლამენტი) დათხოვნის ინიციატორი, თუ პარლამენტი 31 მარტამდე არ მიიღებს საკონსტიტუციო შესწორებას.

ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თქმით, ამჟამად უმნიშვნელოვანესია ხელისუფლებისადმი ნაყენებული მოკლევადიანი ამოცანების შესრულება. ზატლერსის აზრით, გოდმანისის ხელმძღვანელობით ხელისუფლების აღმასრულებელ შტოს პარლამენტი ჯერჯერობით ენდობა.

ლატვია ევროკავშირის ქვეყნებს შორის კრიზისში ყველაზე მეტად დაზარალდა და თითქმის გაკოტრების პირას მდგარი სახელმწიფოა. ხელისუფლების ანტიკრიზისულმა გეგმამ, რაც ყველა სახელმწიფო დანესებულებაზე ხარჯების 15 პროცენტით შემცირებას, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების გაყინვასა და გადასახადების გაზრდას ითვალისწინებს, მასობრივი არეულობები ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ გამოიწვია.

გაზსადენი "ნაბუკო"

ბუდაპეშტის სამიგის თემა

ბის ლირებულება, დაახლოებითი გათვლებით, 12 მლრდ აშშ დოლარია.

"ნაბუკო" ერთ-ერთია იმ გადაწყვეტილებათაგან, რომელიც ევროპას რუსულ გაზზე დამოკიდებულებას მოუხსნის. ცენტრალური აზიიდან ავსტრიაში მიღებული ბუნებრივი აირი მთელ ევროპაზე გადანაწილდება.

ექსპერტთა შეფასებით, გაზსადენის მშენებლობა 2015 წელს უნდა დასრულდეს.

ბუდაპეშტის ენერგეტიკულ სამიტზე ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ რამდენიმე მათგანი კვლავ ღიაა რჩება: შეუძლია თუ არა პროექტში ირანს მონაწილეობა, ვიდრე მის წინააღმდეგ არ არის მოხსნილი გაერო-ს სანქცია? "სამხრეთ ნაკა-

დი" "ნაბუკოს" კონკურენტი იქნება თუ, უზრალოდ, მისი დამატება?

სამიტის შედეგად პოლიტიკური დეკლარაციის მიღებას ელოდებიან, რაც მონაწილე ქვეყნებისთვის მის მნიშვნელობას დადასტურებს. დეკლარაციას, როგორც სატრანზიტო ქვეყანა, ხელს მოაწერს საქართველოც. აუცილებელია ასევე დაინანსების საკითხის გადაწყვეტა.

აზერბაიჯანი, რომელიც აღნიშნულ პროექტში ერთ-ერთი უმთავრესი პოტენციური გაზის მიმწოდებელია, სამიტის მონაწილეებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

"რაც შეეხება პროექტ "ნაბუკოს", ჩვენ მას ყოველთვის ვუჭერდით მხარს და კიდევ ვრ-

თხელ მინდა, ეს მხარდაჭერა დავადასტურო," - განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

სამიტის მონაწილეებს ხელს არ აძლევთ თურქეთის, როგორც ტრანზიტის ფუნქციის მქონე ქვეყნის პოზიცია, რომელიც არა მარტო პრეტენზიას აცხადებს გაზის გადაქაჩვის მოცულობიდან 15 პროცენტზე, არამედ ევროკავშირის წევრობის მოსაპოვებლად არც პოლიტიკურ მანტაჟზე იხვევს უკან.

თუმცა, ამის მიუხედავად, ბუდაპეშტში ოპტიმიზმი მძლავრობს, რადგან მიანიშნავს, რომ რუსეთ-უკრაინის კრიზისმა პროცესის დაჩქარებას შეუწყო ხელი. სამიტზე არ არიან მინეველები არც რუსეთი და არც ირანი.

HP გირჩევთ Windows Vista® Business-ს.



ჩვენ არ ვცდით
თქვენს მოთხოვნებს.
ჩვენ საკუთარ თავს ვცდით,



95000 საათის
განმავლობაში.

HP Compaq 6735b, HP DuraFinish და HP 3D DriveGuard-სთან ერთად.

მან 95000 საათიანი მკაცრი შემოწმება გაიარა, შექმნილია იმისთვის რომ გაძლოს, მაგრამ ეს ყველაფერი როდია HP 3D DriveGuard აღიქვამს ნებისმიერ უცვარ მოქმედებას და ინახავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომ არაფერი დაზიანდეს. მაგნიუმის შენადნობის შემცველი სტრუქტურა უზრუნველყოფს დიდ სიმტკიცესა და სტაბილურობას. HP DuraFinish გარედან დაფარულია გარსით, რომელიც არ იკაწრება. ყოველივე ეს სრულად უზრუნველყოფს თქვენი ბიზნესის დაცვას საუკეთესო მობილურობისთვის. HP Compaq 6735b აღჭურვილია AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor ორმაგბირთვიანი პროცესორით.

- AMD Turion™ X2 Ultra Dual-Care Mobile Processor
- Genuine Windwa Vista® business
- ნაწილების გამძლეობისა და მუშაობის 1-წლიანი გარანტია



დაიცავით თქვენი ბიზნესი გაზარდეთ გარანტია კიდევ 3 წლით.
HP Care Pack მომსახურების პაკეტის გამოყენებით

კომპიუტერი
კვლავ
პერსონალურია



სერთიფიცირებულია

hp.com/ge

© 2008 Hewlett-Packard Development Company, L.P. Microsoft and Windows are U.S. registered trademarks of Microsoft Corporation. Windows Vista is either a registered trademark or trademark of Microsoft Corporation in the United States and/or other countries. AMD, the AMD Arrow logo, AMD Turion and combinations thereof, are trademarks of Advanced Micro Devices, Inc. The information contained herein is subject to change without notice.



28 იანვარი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
ექსპერიმენტული სცენა
"გედის სიმღერა"
რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
"ურეელ აკოსტა"
რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი
ალადგინა სოფიკო ჭიაურელმა
დასაწყისი: 20.00

თეატრი სხენში
"სასიყვარულო ბარათები"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 20.00

თეატრალური სარდაფი
"მე ვხედავ მზეს"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი
"ჭკუისა მჭირს"
დასაწყისი: 18.00

კინო

"ამირანი"
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 15.15; 17.30; 19.30; 20.00; 22.15
"პატარძლების ომი"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 16.45; 18.30; 20.30;
22.15;
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 12.00; 13.30;

"რუსთაველი"
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ნადირობის სეზონი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00 ; 19.00 ; 21.00
"დღეს, როცა დედამინა გაჩერდა"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.15; 19.15; 21.30
"ტრანსპორტერი III"
დასაწყისი: 13.45; 15.45; 17.45; 19.45; 21.45
"არწივის თვალი"
დასაწყისი: 12.45; 15.15; 17.30; 20.00; 22.15
"ავსტრალია"
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30

გალერეა

"ქარვასლა"
ირაკლი გოგიას გამოფენა
ხეზე ნაკვეთი კომპოზიციები
"ჩეხეთის მარგალიტები"

"ორნამენტი"
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"
ლევან მარგაიანის ნამუშევრების გამოფენა

N გალერეა
სანდრო ანთაძის პერსონალური გამოფენა

"ვერნისაუი"
გიორგი ვაგოშვილის გამოფენა
"აბასთუმანი, აბასთუმანი..."

ჰობი
როკო ირემავილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა, გრაფიკა

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა
საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამა
გამოფენა "ბავშვთა უფლებების დაცვა"

"ჩეხეთის მარგალიტები" ქარვასლაში

თამარ ჯიქნაველიძე

"ჩეხეთის მარგალიტები" – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც თბილისის იოსებ გრიშაშვილის ისტორიის მუზეუმში - ქარვასლა გაიხსნა.


ექსპოზიციის მიზანია ჩეხეთის რესპუბლიკის პოპულარიზაცია, რასაც დამთვალეიერებელი ადვილად მიხვდება. გამოფენაზე, თემატური პლაკატების ექსპონირებით, წარმოჩენილია ის, რითაც ჩეხეთის მოქალაქეები ამყობენ. ნამუშევრებს თან ანოტაციებიც ახლავთ. მათი წაკითხვის შემდეგ, დამთვალეიერებელი ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს ქვეყანაზე, რომელიც, ახლახანს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. ეს გამოფენა სწორედ ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას ეძღვნება.

ის, რაც ჩეხებისთვის ახდენილი ოცნებაა, ქართველებს ძილშიც გვესიზმრება. მართალია, ევროკავშირი, ჩვენთვის, მხოლოდ სასურველი მომავალია, მაგრამ წარსულს, მონაპოვარსა და თავის მოსაწონებელს რაც შეეხება, აქ ურიგოდ არ უნდა გვექონდეს საქმე. არადა, მშობლიურის პოპულარიზაციისთვის, ქართველების გარდა, ფაქტია, რომ ყველა ფიქრობს, ზრუნავს და იცლის. საამაყოდ საქმე ჩვენც გვქონია, მაგრამ მსოფლიოსთვის ამაზე იშვიათად თუ მოგვიყოლია. ეს გამოფენა კი, როგორც "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზების კურატორისგან, ლიკა მამაცაშვილისგან შევიტყვევებ, რამდენიმე წლის წინათ ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაკვეთით შეიქმნა იმისათვის, რომ საქვეყნოდ წარმოჩენილიყო ყველა მიღწევა, რომლითაც ჩეხებმა წვლილი შეიტანეს ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს განვითარებაში. ამ ექსპოზიციას, სავარაუდოდ,



CZECH GARNET (გრანიტი) IS THE MINERALOGICAL SYMBOL of Bohemia.
The garnet originating in the Czech republic possesses a rich red, varying in intensity in soft precious stone quality and delicate color. Garnet stones are small (6-8 mm) and exceptionally consistent in the proportion of color. Dark red garnet took its place among precious stones under the reign of Rudolf II. In the mid 19th century, garnet became so fashionable that in 1878 Emperor Maximilian bought a ring from the country. In times of populism, the golden age of garnet was the end of the 19th century, after the Russian emperor appeared at a social ball in Vienna with a breathtaking set of red stones set in gold. Garnet is widely known as the **STONE OF LOVE**.

Czech Republic



COURT STEEDS

THE OLD KLADUBŮVSKÝ HORSE is a unique breed. It was selected for significant national monuments in 1992. The origin of the breed can be traced back to the 16th century. This is the only horse breed for ceremonial purposes in world equestrian. These white or light horses have received their unique appearance. They were the only equestrian to have carried a place alongside artists of art and architectural arts; they are preserved 'monuments' and are officially registered as **LIVING WORKS OF ART**. Breeding is provided by the FAO and the breed continues as UNESCO World Heritage list.

Czech Republic

საქართველოს შემდეგ, კავკასიაშიც ნახავთ.

კონკრეტულად რითი ინონებს თავს ქვეყანა, რომლის ფართობია 78 864 კვადრატული მეტრი, მოსახლეობის რაოდენობა - 10 266 000, ოფიციალური ენა – ჩეხური, პოლიტიკური სისტემა – საპარლამენტო, დემოკრატიული, ხოლო დედაქალაქი – პრაღა? ამ კითხვაზე თუ მხოლოდ ორიოდ სიტყვით გიპასუხებთ, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ გამოგონებებით, აღმოჩენებითა და არაერთი ფასეულობით.

უფრო კონკრეტულად კი, ექსპოზიციანზე, ჩეხეთის მნიშვნელოვანი მონაპოვარის ჩამონათვალში შესულია: სამეცნიერო გენეტიკის ფუძემდებელი, ჩეხური წარმოშობის ბუნებისმეტყველი - იოჰან გრეგორ მენდელი; გამოჩენილი ჩეხი კომპოზიტორი ანტონ დვორჟაკი,

რომლის მიერ დაწერილი მეცხრე სიმფონია, კოსმოსური ხომალდის "აპოლოს" გაფრენისას, მთვარეზეც ისმოდა; ჩეხი ქიმიკოსი და გამომგონებელი - ოტო ვიხტერლემი, რომელმაც 1956 წელს, კონტაქტური ლინზების გელი გამოიგონა; ჩეხეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქალაქი ინდრჟისურ-გრადეც, რომელიც ბეთლემის კომპოზიციით არის განთქმული. მის დამზადებას ადგილობრივი მენარმე - ტომაშ კრიზამ (1838-1918 წწ.), დაახლოებით, სამოცი წელი მოანდომა; ჩეხი ენათმცოდნე ბერდუხი გროზნი, რომელმაც 1915 წელს, მსოფლიოში პირველმა, ხეტების ენა გამოიგონა; უდიდესი ციხესიმაგრეები; ცხენების უნიკალურად გამოყვანილი ჯიში, რომელიც 1995 წელს, უძვირფასეს კულტურის ძეგლთა სიაში შევიდა; "ჩეხური ძონი (პიროპი) - ჩე-

ხეთის მინერალოგიური სიმბოლოა, რომელიც მუქი სისხლისფერ-წითელი ფერითა და ძვირფასი ქვის ხარისხით გამოირჩევა; ჩეხეთის ყველაზე პოპულარული სპორტი - ხოკეი ყინულზე; ჩეხური სიტყვა - რობოტი, რომელიც თარგმნას აღარ საჭიროებს; თოჯინების თეატრი, რომელიც იქ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა; ჩეხეთის მოქალაქეები ჩეხური ლუდითაც ამყობენ. ისინი ლუდის პირველ მომხმარებლებად ითვლებიან. მათი აზრით, ლუდი არა მხოლოდ გამაგრებელი სასმელია, არამედ სასარგებლო, გემრიელი და იაფი "თხევადი პური".

გამოფენის ორგანიზატორები ევროპის ცენტრში მდებარე ქვეყნის მდიდარ ისტორიას მის გეოგრაფიულ მდებარეობას მიაკუთვნებენ.

ნისლში დაქარბული ფლარბი

კიევში ცნობილი მულტპერსონაჟის ძეგლი დადგეს

ვისაც საბჭოთა ბავშვობა აქვს, უთუოდ ახსოვს გენიალური მულტფილმი "ზღარბი ნისლში". რამდენიმე დღის წინ კი ამ ფილმის მთავარ პერსონაჟს - ზღარბს კიევში ძეგლი დაუდგეს. კიევში მის გარდა კიდევ არაერთი ცნობილი პერსონაჟის ძეგლი დგას. მათ შორისაა, ბურატინო, ნიანგი გენა და სხვა. ზღარბის ქანდაკება ხისგანაა დამზადებული, ხოლო ეკლესიის ფუნქციას გრძელი ხრახნიანი ლურსმნები ასრულებენ. ხის ზღარბი გადაჭრილ მორზე ზის, პატარა თათებით კი დათვისთვის მისართმევი მურაბიანი ბოხჩა უჭირავს.

ამ მულტპერსონაჟის ქანდაკება რუსეთის კიდევ ერთ ქალაქში - პენზაშიც დგას. მისი

სიმაღლე ერთ მეტრს აჭარბებს და ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული. საინტერესოა, რომ სკულპტურა სწორედ იქ დადგეს, სადაც საბჭოთა პერიოდში მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი მონუმენტი "დედა სამშობლო" იდგა. "ზღარბი ნისლში" დღეს უკვე პოპულტურის ნაწილია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მისი გამოსახულებიანი საფოსტო მარკები გამოუშვეს. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ნისლში დაკარგული ზღარბის ფოტოანი მაისურები, ქუდეები და სხვა აქსესუარები.

იური ნორშტეინის მიერ 1975 წელს გადაღებული "ზღარბი ნისლში" გამოსვლისთანავე აღიარეს შედეგად, თუმცა საბჭოთა ნომენკლატურის ჩა-

რევის გამო ფილმმა ბევრ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა ვერ მიიღო. ამიტომ მხოლოდ შიდა და მეორეხარისხიანი ფესტივალებით დაკმაყოფილდა. თუმცა 2003 წელს ფილმმა ყველაზე დიდი აღიარება მიიღო - იგი მსოფლიოს 140-მა მულტიპლიკატორმა ყველა დროის საუკეთესო ანიმაციური ფილმად დაასახელა.

ეს ტოკიოს ყოველწლიურ ანიმაციურ ფესტივალ "ლაპუტაზე" მოხდა. ანიმატორებს მათი საყვარელი 20-20 ფილმის დასახელება სთხოვეს, შედეგად კი 150 საუკეთესო ანიმაციის სია შედგა. საგულსხმოა, რომ სიის მეორე ადგილზე ასევე იური ნორშტეინის ნამუშევარი "ზღაპართა ზღაპარი" გავიდა. სხვადა-

სხვა ადგილებზე შეხვდებით მის დანარჩენ ფილმებსაც: "მელა და კურდღელი", "ძილი ნებისა პატარები", "შინელი" და სხვა.

მესამე ადგილი უოლტ დისნეის 1940 წლის შედევრ "ფანტაზიას" ერგო. ცხადია საუკეთესო ანიმაციათა შორის იაპონური ანიმაცია მოხვდა. პირველ ოცეულში სტუდია Ghibli-ს მთავარი რეჟისორის შაიანო მიადაკის ოთხ ნამუშევარს შეხვდებით: "ლაპუტას ზეციური კოშკი" (ტოკიოს ფესტივალს სახელწოდება სწორედ ამ მულტფილმის მიხედვით ჰქვია), "სულელები გატაცებულინი", რომელმაც 2001 წელს "ოსკარიც" დაიმსახურა, "შაულის მოსიარულე სასახლე" და "პრინცესა მონონოკე".

მაიკ პეტონის ახალი დუეტი

დევიდ ბოუიმ ზიგი სტარდასტის გაცოცხლებაზე უარი განაცხადა

ი ა ვეკა

უნიკალური ხმითა და მრავალმხრივი მუსიკალურობით ცნობილი მაიკ პეტონმა თავისი მუსიკალური კარიერის განხილვა დაიწყო Coachella-ს ფესტივალისთვის მარტო ემზადებოდა და არა Faith No More-ს დანარჩენ მუსიკოსებთან ერთად. ამით პეტონმა საბოლოოდ უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ მისი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ჯგუფი სცენას დაუბრუნდებოდა.



ყოველთვის მეორე პლანზე რჩებოდა, რადგან ჯგუფის რეალური ლიდერები კლავიში როდი ბოტომი და ბასისტი ბილი გულდი იყვნენ. ლიდერობისთვის დაბადებული პეტონი კი მათ დომინანტობას ვერ ეგუებოდა, რაც ხშირად გამხდარა კონფლიქტის მიზეზი. 1998 წელს Faith No More-მ ბოლო ალბომი გამოუშვა, მაიკ პეტონმა კი სოლო კარიერა წამოიწყო. ალბომიდან და ალბომი ჩანერა თავის ძველ ჯგუფთან Mr. Bungle-სთან ერთად, ძალიან ნაყოფიერად იმუშავა Fant mas-თან, Tomahawk-ის შემადგენლობაში სამი უნიკალური ალბომი ჩანერა, Peeping Tom-თან კი ერთი, თუმცა ბრწყინვალე კომპოზიციებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ჯგუფები მისი პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია, ხოლო მათთან თანამ-

შრომლობას მუსიკოსი პარალელურად ახერხებს. ამიტომ სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მაიკ პეტონს არ სურს წარსულში დაბრუნება და ძველი დიდების გამოკრება. რაც შეეხება მის გამოსვლას აპრილში დაგეგმილ Coachella-ს ფესტივალზე, უკვე ცნობილია, რომ მას პარტნიორობას ცნობილი ბიტ-ბოქსერი რაჰზელი გაუწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მაიკ პეტონს საკუთარი ხმის მართვის საოცარი უნარი გააჩნია, ადვილი წარმოადგენია, რამდენად სანახაობრივი იქნება ამ დუეტის გამოსვლა. რაჰზელი მაიკ პეტონთან ადრეც თანამშრომლობდა. ბიტ-ბოქსერი რამდენიმე პარტიას ასრულებს "პიპინგ ტომში", ხოლო ორივე მუსიკოსი ბი-ორკთან ალბომ Medulla-ს ჩანერაზე მუშაობდა.

Coachella-ს ფესტივალზე გამოსასვლელად ემზადებოდა დევიდ ბოუიც, რომელმაც უარი პროგრამის შედგენის ბოლო დღეს განაცხადა. არადა მის გამოსვლას განსაკუთრებით მოელოდნენ, რადგან ჭორების თანახმად ბოუის თავისი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი ზიგი სტარდასტი უნდა გაცოცხლებინა. იყო ინფორმაცია, რომ მუსიკოსი ფესტივალზე 1972 წლის ალბომ The Rise And Fall Of Ziggy Stardust & The Spiders From Mars-ის მთლიანად წარმოდგენას გეგმავდა, თუმცა მუსიკოსმა ესეც უარყო. დევიდ ბოუი ზიგი სტარდასტის იმიჯით მსმენელის წინაშე უკანასკნელად 1973 წელს წარსდგა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკიდან ზიგის ვერავინ ნახავდა. რაც შეეხება თავად ფესტივალს, მისი ისტორია 1993 წლიდან იწყება, როდესაც კალიფორნიის ქალაქ ინდიოს კოაჩელას რაიონში კონცერტის გამართვა იმ პერიოდში ძალიან ცნობილია ჯგუფმა Pearl Jam. ამის შემდეგ გადამწვდა, რომ ამ ადგილას ყოველწლიური ფესტივალი გამართულიყო, თუმცა პირველი ფესტივალის ორგანიზება მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ მოხერხდა. ამ დროის განმავლობაში კოაჩელას სცენაზე უამრავმა ცნობილმა ჯგუფმა და მუსიკოსმა იმღერა: "ჯეინს ედიქშენ", "ქემიკალ ბრაზერს", "ოაზისი", ბეტი, მაღონა, "მასივ ატაკი" და სხვა.

ბანკოკში პოპ-ჯგუფის სოლისტი დააპატიმრეს

ახალი წლის ღამეს, ბანკოკის ღამის კლუბში - „სანტიკა“ ხანძრის გაჩენის ბრალდება ადგილობრივი პოპ-ჯგუფის - "ურნ" სოლისტს ნაუყენეს და დააპატიმრეს. შეგახსენებთ, რომ ხანძრისას 65 ადამიანი დაიღუპა. 28 წლის მომღერალმა, პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით, შენობაში რამდენიმე ფოიერვერკი გაუშვა, რომლებიც შეკიდულ ჭერს მოხვდა და ააღდა. ხანძარი კონცერტის დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ გაჩნდა. თვითმხილველთა მტკიცებით, მუსიკოსები კლუბში დარჩნენ. წინასწარი სასამართლო მოსმენებისას, ჯგუფის სოლისტმა ბრალდება უარყო. სასამართლომ მომღერლის 20 მილიონი ბატის გირაოთი გამოშვებაზე თანხმობა განაცხადა. აღნიშნული თანხა, დაახლოებით, 20 ათას 445 დოლარს უდრის. მედიანიუსი.

ოპერის თეატრი "ერისიონის" კონცერტს ხუთწლიანი პაუზის შემდეგ უმასპინძლებს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა - "ერისიონი", ხუთი წლის შემდეგ, პირველად საქართველოში, ახალი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა. პროგრამაში შესულია ახალი სიმღერები, განახლებულია ქორეოგრაფიული ნომრებიც. ოპერის თეატრში ანსამბლ "ერისიონის" კონცერტები 29 იანვრამდე გაგრძელდება. 29 იანვრის შემდეგ კი, საბოლოოდ გაირკვევა თუ ანსამბლი ახალ კონტრაქტს რომელი საპროდიუსერო კომპანიასთან გააფორმებს. ფრანგულ კომპანიასთან რეგულარული თანამშრომლობის დასრულების შემდეგ, "ერისიონთან" კონტრაქტის გაფორმების სურვილი ბევრმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა. მედიანიუსი.

მართადიდებელმა ეკლესიამ წმინდა ნინოს ხსენების დღე აღნიშნა


გუმინ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქრისტიანობის მქადაგებლისა და საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნა. წმინდა ნინო, წარმოშობით, კაბადოკიელი ბერძენი ყოფილა. იგი უფლის ურთხვევით საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად და ქრისტიან სჯულის გასავრცელებლად ჩამოვიდა. წმინდა ნინო პირველად ქალაქ მცხეთაში მივიდა, სადაც ვაზის ტოტისაგან („ნახსლევისაგან“) გაკეთებული ჯვარი აღმართა. წმინდა ნინოს ქადაგებებითა და სამკურნალო ხელოვნების საშუალებით მოსახლეობაში მან დიდი სიყვარული და ყურადღება დაიმსახურა. მისი წყალობით მცხეთაში ქრისტიანობას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. წმინდა ნინოს მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს, მან ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები გააქრისტიანა. ამის შემდეგ წმინდა ნინოს რჩევით მეფე მირიანმა მოციქულები იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდლოების ჩამოსაყვანად გააგზავნა, რათა ხალხი მოენათლად და ახლად აგებული ეკლესია ეკურთხებინათ. წმინდა ნინომ სამისიონერო მოღვაწეობა ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც გააგრძელა. ერისთვის, სამღვდლოებისა და ჯარის თანხლებით წმინდა ნინომ მთიანეთში წილკნელების, ჭართალელების, ფხოველების და ერწო-თიანეთშიც გააქრისტიანა. უკან დაბრუნებისას წმინდა ნინო ავად გახდა და სოფელ ბოდინში (ახლანდელი ბოდბე) გარდაიცვალა, სადაც ის დასაფლავდა. წმინდა ნინოს სახელის ხსენების დღედ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ძველი სტილით - 14 იანვარი, ხოლო ახალი სტილით - 27 იანვარი დაანესა. მედიანიუსი.

საპატრიარქოს დელეგაცია რუსეთის პატრიარქის ინტრონიზაციას დაესწრება

30 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, საპატრიარქოს დელეგაციასთან ერთად, რუსეთის ახალი პატრიარქის ინტრონიზაციაზე დასასწრებად მოსკოვში სპეცრეისით გაემგზავრება. როგორც "მედიანიუსს" საპატრიარქოს პრეს-სამსახურში აცნობეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და ქართული დელეგაცია საქართველოში 3 თებერვალს დაბრუნდება. ცნობისთვის: რუსეთის პატრიარქის ინტრონიზაცია 1-ელ თებერვალს გაიმართება. მედიანიუსი.

იარუსალიმში ბოქსიორის მარმარილოს თავი აღმოაჩინა

ისრაელის სიძველეების სამმართველოს (Israel Antiquities Authority) არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, აღმოსავლეთ იერუსალიმში, გათხრებისას ათლეტის, უფრო სწორად, ბოქსიორის, მუშტებით მებრძოლის, მარმარილოს ქანდაკების თავი აღმოაჩინა. იმპერატორ ადრიანეს დროის, ანუ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნით დათარიღებული იშვიათი მონაპოვარის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია სააგენტო



"France Press"-მა გაავრცელა. მკვლევარები განმარტავენ, რომ სპორტის იმ სახეობაზე, რომლითაც ათლეტი იყო დაკავებული, ქანდაკების სპეციფიკური ყურები, მოკლედ შეკრეჭილი თმა და წვერი მიუთითებენ. "ბოქსიორის" იკონოგრაფიული თავი ახლოსაა ბერძნულ პროტოტიპებთან, ხოლო მარმარილოს მოყვითალო ფერის გამო, ჩნდება ვარაუდი იმისა, რომ ეს ქანდაკება აღმოსავლეთში გააკეთეს. არქეოლოგები ეჭვობენ, რომ თავი ტვირ-

თის ასანოდან გამოიყენებოდა. სააგენტო "France Press"-ი მონაპოვარის აღმოჩენის ზუსტ ადგილს არ ასახელებს, მაგრამ აღნიშნავს ექსპედიციის ხელმძღვანელის სახელს - დორონ ბენ-ამი. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ნომბერში, ბენ-ამის ჯგუფმა რომაული ოქროს საყურე მარგალიტითა და ზურმუხტებით გვიგათის რაიონში აღმოაჩინა. 2007 წლიდან იქ ადრეული ბიზანტიური ეპოქის მონუმენტალური ნაგებობა ითხრება.

კემბრიჯის მოქანდაკე დარვინი წვერის ბარაზე დაინახა

ჩარლზ დარვინის ქანდაკება, რომელიც კემბრიჯის ქრისტეს კოლეჯში იქნება წარმოდგენილი, წვერის გარეშეა გამოსახული. როგორც მოქანდაკე ენტონი სმიტმა (Anthony Smith) გამოაცხადდა, დარვინი 22 წლის ასაკში ყავს გამოსახული.

ცნობილი გამოსახულებების ავტორთა უმრავლესობას ჩარლზ დარვინი მსხვილ გრძელ წვერებში ყავთ ასახული. ქრისტეს კოლეჯის დამთავრებული სმიტი შეეცადა ვრცლად დაენახებინა საზოგადოებისთვის დარვინი მისი ხომალდ "ბიგლით" ცნობილი მოგზაურობისას. იმი-

სთვის, რომ აღედგინა, თუ როგორ გამოიყურებოდა მეცნიერი კემბრიჯში სწავლის ბოლო წელს (დარვინმაც სწორედ ქრისტეს კოლეჯის დამთავრება, სმიტმა დარვინის ამ პერიოდის ყველა პორტრეტი შეისწავლა. გარდა ამისა, მოქანდაკე მეცნიერის შთამომავლებს ესტუმრა,

რომლებსაც გარეგნულად ახსოვდათ ცნობილი ნათესავი. ახალგაზრდა დარვინის ბრინჯაოს ქანდაკება კემბრიჯის ქრისტეს კოლეჯის ბაღში დაიდგმება. მისი ოფიციალური დახსენის ცერემონია 12 თებერვალსა დაგეგმილი და იგი მეცნიერის 200 წლის იუბილეს მიეძღვნება.

"ჩაკრულო", "ასსა" და... პატარა დოლები

მზუნა მახარაძე



იმ საგანძურს, რომელსაც სიძველისგან არც ფერი გადასვლია და არც დროში დაუკარგავს აქტუალობა, 4 დღე ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახავთ. ლეგენდარული "ერისიონი" ახალი ლეგენდისთვის მოემზადა... მარგალიტებად აკინძული ეთნომუსიკალური ჩანახატი "მრავალუამიერის" ქვეყნის იმ ლეგენდაზე მოგვითხრობს, რომელშიც გამოვლილი თითქმის არაფერია... "ქართული საგანძურის" ძველი ამბავი, ისეთივე ჩაგრებილია, როგორც კავკასიონის მთები... და ეს ამბავი რომ გაიგო და ცეკვაში მოყვებოდა, ან წინა ისტორია უნდა იცოდე, ანდა სამშობლოში სამოგზაუროდ აქაურ ბილიკებს გაჰყვები...

განახლებული ფოლკლორით, რომელშიც უცვლელად დარჩა ტრადიციული ქორეოგრაფიის უწყვეტი ხაზი, სცენაზე თითქმის ორი საათი გრძელდება, მთელი ანსამბლი ცეკვავს და დრამატურგიად დოკუმენტური ფრაგმენტები ედება... ფერწერულად ინთება სცენა, ისმის საეკლესიო ზარების რეკვა, სცენის სიღრმეში სპეცეფექტებით ჩნდება ეთნოგრაფიული დეკორაცია... და აქვე უნდა აღიქვა წინა საუკუნეების თეატრალიზაცია, სადაც ყველაფერი ქართული "მყრულით" ინყება - "ვისია, ვისია ქალი ლამაზი..." გუნდის ეს საზეიმო-სატრფილო მოძახილი თავადების საქორწილო სცენასთან ხდება თანაზიარ - დარბაისლური "დავლური" გადადის ცეკვა "ქართულში". ამ შედეგს, რომელსაც ემიგრაციაში "კავკასიელი ეგზოტი" გრივად რობაქიძე "სიყვარულის პოემას" უწოდებდა, ნინო ვაშაკიძე და ლაშა მუჯირი აკადემიურად ასრულებენ - თითქოს არ მოძრაობენ, თითქმის არ ირხევიან, სხვათაგან მათი ესთეტიკა, დინჯი სრიალის მერე "ქართულის" გასმია, აქ ლაშა მუჯირის გასმის სტილი თანდათან ცვალებადია, კიდევ უფრო მსუბუქი, აჩქარებულიც... "ძველი თბილისის" სურათები მუხამბაზის მუსიკალური ქარები და ნახაზით ისევე განსხვავებულად სანტერესო ვერსია შეიქმნა, როგორც ორსართულიანი ზემყრელოს კომპოზიციური ფორმა და ნაყოფი "ხორუმის" დრამატულ ნაოსულს დაუკავშირა... "ხორუმის" ტრადიციულ ქარაში უცვლელად დარჩა დაზვერვა, ხელუხლებელია "ხორუმის" კლასიკური ხაზი, მერე და მერე სინქრონიზირებული მოძრაობაა, დამატებით "იარაღად" შემოვიდა ბევირი ემოცია, ხოლო შეიცვალა ქრონოლოგია და შესავალი, ანუ საბრძოლო მზადება, რომლის დასკვნითი ნაწილი საომარ სურათში გადადის... დაზვერვამდე, "ხორუმის" სიუჟეტში ქართველი დედა შემოდის, ანუ ეს აბჯარასხმული შვილების დალოცვის სიმბოლური ჩანართია, მერე გუნდის საბრძოლო მოძახილი გესმის - "ქართველი ხელი ხმალს იკარ..." სცენაზე იცვლება განათება, იცვლება დინამიკა... დარბაზი ერთიანად გაყინულია, დაძაბულიც კი, უფრო ჩასაფრებულის პოზიციაში... ანუ, რა ხდება? სცენაზე "სიმდის" პორიზონტალური ხაზები ტრიალებს, ამ ხაზების მიმართულება და ფორმა იცვლება, თუმცა ხაზებში სისწორე არ ირღვევა... ხმაურია დარბაზში, ემოციური შესახილები გაისმის... სოლისტიები გამოდიან - თამუნა ლაბაძე და ირაკლი გალდავა... ამ ინსცენირებაში

რუმია". ეს პეროიკული ოპუსი, რომელიც თავისი დინამიკით მოცეკვავეებისგან მაინც კლასიკურ შესრულებას ითხოვს, რეზო ჭოხონელიძემ აგვისტოს ომის მერე გადააკეთა, კომპოზიციის ფორმა და ნაყოფი "ხორუმის" დრამატულ ნაოსულს დაუკავშირა... "ხორუმის" ტრადიციულ ქარაში უცვლელად დარჩა დაზვერვა, ხელუხლებელია "ხორუმის" კლასიკური ხაზი, მერე და მერე სინქრონიზირებული მოძრაობაა, დამატებით "იარაღად" შემოვიდა ბევირი ემოცია, ხოლო შეიცვალა ქრონოლოგია და შესავალი, ანუ საბრძოლო მზადება, რომლის დასკვნითი ნაწილი საომარ სურათში გადადის... დაზვერვამდე, "ხორუმის" სიუჟეტში ქართველი დედა შემოდის, ანუ ეს აბჯარასხმული შვილების დალოცვის სიმბოლური ჩანართია, მერე გუნდის საბრძოლო მოძახილი გესმის - "ქართველი ხელი ხმალს იკარ..." სცენაზე იცვლება განათება, იცვლება დინამიკა... დარბაზი ერთიანად გაყინულია, დაძაბულიც კი, უფრო ჩასაფრებულის პოზიციაში... ანუ, რა ხდება? სცენაზე "სიმდის" პორიზონტალური ხაზები ტრიალებს, ამ ხაზების მიმართულება და ფორმა იცვლება, თუმცა ხაზებში სისწორე არ ირღვევა... ხმაურია დარბაზში, ემოციური შესახილები გაისმის... სოლისტიები გამოდიან - თამუნა ლაბაძე და ირაკლი გალდავა... ამ ინსცენირებაში

ცერებზე აინია ირაკლი გალდავა... დახვეწილი და მოხდენილია მათი მიპატიჟება ნელი სვლიდან ზილგამდე... და ისევ დიდია მყურებლების ოვაციები. "მთიეთა საზეიმოში" ჯერ თუშური გარმონის შესავალია, მერე სალამურები და "ჩაფანდურება" ერთეობა, სულ მერე მოცეკვავეების ცეცხლი და... ხმებში გაშლილი გუნდის სატრფილო გესმის. ...ვირტუოზულ ტემპს ვირტუოზულად არის აყოლილი მთიულური ტუხილები, მეტი ენერჯით დატენილი მოძრაობები... მოცეკვავეები თითქმის ვერ სუნთქავენ, შორიდან უყურებ და ხვდები, რომ რთულია ამ რითმს ჯერ მარტო გარედან შეეგუო, გაუძლო, ბოლომდე გაჰყვებ და ეს ტემპი მაყურებლისთვისაც კი გადამდეები გახდეს... ჭიბონის 8 ტაქტიანი შესავალი... შუაგულ აქარაში ვართ, დაახლოებით იმ დროს, აქაური ეთნოგრაფია ძველი ლაზური გავლენით რომ ყოფილა შეფერილი. კომპოზიციის თხრობაც ლაზების ცხოვრების სტილიდან მოვიდა, რეზო ჭოხონელიძის თეორიაში კი თავისებური იმპროვიზაციით გადავიდა. შესავალი ნაწილი ჩადრჩამოფარებული ქალების ისტორიას შეეხება. ეს მოულოდნელი დეტალი, რომელიც მკაცრი ტრადიციისა და ცივილიზაციის უხილავ ურთიერთობებს შიფრავს, თავისებური ლოგიკით ამძაფრებს ცეკვის არქაულ შინაარს...

"ქართული საგანძური" - ეს არის დასავლური სტანდარტებით კარგად შეფუთული, პროფესიული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სინთეზი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. - ამბობს ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი რეზო ჭოხონელიძე, - ეს პროგრამა ძველთან ლამაზად დაბრუნებაა, ცვლილება ყველა ცეკვას შეეხო, უცვლელია ტრადიციისა და ავთენტურობის დაცვა... ერთი პერიოდი ჩადრჩის ეს ნაწილი ამოვიღე, მერაბ ზაქარაიძის გამინაცვლდა და სასწრაფოდ აღვადგინე... ცეკვა "ქალთაც" კიდევ უფრო საინტერესოდ იკითხება თავისი ახალი მელოდიებით, მხოლოდ გული იმაზე მწყდება, რომ "ღრუბლები" არა გვაქვს - "ღრუბლებში" ანგელოზებივით გამოჩნდებოდნენ ჩვენი მოცეკვავეები... ეს ქორეოგრაფია დავით ჯავრიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, ბუხუტი დარბაზელიძის ხაზის გაგრძელებაა. მათი მემკვიდრეობა ჩემთვის ის რესურსია, რაც შემდგომ მიზიდვებს ხოლმე, რომ სიახლე ძირძველ ქართულ კუთხურ მოძრაობებში მიკარნახოს... მუზეუმ-ანსამბლის განახლებული პროგრამა განახლებულ ქორეოგრაფიასთან ერთად პოლიფონიასაც იტევს: სვანური "კვირია", მეგრული "ოდია", "ჩაკრულო" - მსოფლიო მუსიკის კლასიკა, მთის სატრფილო "ქალაი", კახური "მრავალუამიერი", გურული "შემოქმედუ-

რა"... გუნდში ისე მღერიან, მათ ხმებში იმხელა ძალა და სიღრმეა, ღრმად ამოსუნთქვას რომ ვერ გაბედავ. კახურ "ჩაკრულოს" ან "მრავალუამიერს", თუნდაც "კრიმანჭულს" უსმენ და, შენში რაღაც სხვა სიამაყე იღვიძებს... ამ ნიმუშებში სხვადასხვა რიტმული მხარეა, სხვა ხასიათი, სხვა მუსიკა, სიმღერის სხვადასხვა მანერა, მაგრამ ყველა რჩება ერთნაირად დიდი მარგალიტი... უსმენ და ხვდები, რომ კრიმანჭული მაღალი, მემამოხე, ჩახლართული ხმაა, თუმცა ის ჩუქურთმასავით ალამაზებს დანარჩენ ხმებს თავისი ნახტომებით, ინტონაციებით... მთის სატრფილო "ქალაი" ვაჟა-ფშაველას ლექსზე, აკადემიურ სცენაზე გუნდმა პირველად შესრულდა ისევე, როგორც განახლებული კახური "ჩაკრულო". ამ პოლიფონიაში შეიცვალა არა მუსიკა, არამედ ლექსი... და მაინც, რატომ? - ეს "ჩაკრულოს" ტექსტების შეუსაბამობამ განაპირობა. - ამბობს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, - მთლიანად არ შეგვიცვლია, აი, როგორი ტექსტი იყო დასაწყისში: "ხიდის თავს შევეკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია, ჩაუხტეთ მუხრან ბატონსა თავს დავანგრიოთ ბანია... მუხრან ბატონის ყმობითა, ფევილი ვერ დავდგი გოდრიოთა, დეკეული ვერ გავზარდე, კალო ვერ ვლენე მოზურითა." ამ ნგრევას არ უნდა მოვრჩეთ? მუხრან ბატონები, მოგესხენებათ, ბაგრატიონების პირველი შთამომავლები იყვნენ, თუ მათ ბატონის არ ვცემთ, ეს არასწორია ჩვენი მხრიდან - "თავს დავანგრიოთ ბანია" რომ ვმღერით, გუნდის მისამღერში კი პირობით: "ხმალო ხევსურეთს ნაჭედო, თელავში თუშმა გაქფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვარი დაგწერა..." ხვდებით? ამ არალოგიკური სვლების გამო შესავალი ნაწილი ასეთი ხალხური ლექსით შეიცვალა: "მტერსა რომ მტრობას უწევდეს ვაჟკაცის შესაფერია, ვისაც მტრის მტრობა აშინებს, ის ქვეყნად არაფერია. არ მოუხდება აბჯარი, არც ომში ნასასვლეელია, არცა ხსენდება კაცადა, არც არად ჩასათვლელია..." და ნახეთ, რა ბუნებრივად გადადის ეს ტექსტი გუნდის მისამღერში: "ხმალო ხევსურეთს ნაკეთო თელავში თუშმა გაქფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა საომრად ჯვარი დაგწერა. მტერი დამჩაგრე არ ვტირი, ტირილი დაიცე ნესია, ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკენესია..." ეს არის ხალხური ლექსი, რომელიც "ხალხური პოეზიის" მეოთხე ტომიდან ამოვიღე, მას ჰყავს ავტორი, როგორც ყველა ხალხურ სიმღერას და ხალხურ ცეკვას, მაგრამ ის მაინც რჩება ხალხურად. ბოლოს როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე, "ერისიონის" საგანძურსაც კეთილი და ლამაზი დასასრული აქვს. აქ არქაულ შინაარსზე გაკეთებულია ქორეოგრაფიული კოლაჟი, რომელიც კიდევ ერთხელ გახსენებს, რომ "მრავალუამიერის" ქვეყანაში იმოგზაურე... სცენაზე სამი თაობა დგას - უფროსები, უმცროსები და... სულ პატარები, თუმცა დარბაზის "დუღილი" ყველას ეკუთვნის. ფეხზეა მაყურებელი, თითქმის 20 წუთი გრძელდება აპოლოდისმენტები... "ბის", "ბის" - ყვირიან... დიდი პრემიერა გადაგორებულია, მაყურებელი გაოცებული... გუშინ ამ ფოლკლორულ ენოკლასიკურ მოდერნიზაციას იყენებ, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ "ერისიონი" ევროპაში კონცერტებს კიდევ არაერთხელ ჩაატარებს.

სპორტი

რეიტინგი „ერთა თასს“ ელის

ბიბა გურასაშვილი

რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) საკუთარი სამსახურის ახალი რეიტინგი გამოამზებურა. ეგაა, ნაკრებებს ამავე ნუსხაში ცვლილებები თუ გადაადგილებები არ შეხებიათ. მსოფლიოს რჩეული სარაგბო სამყარო ოფიციალურ მატჩებს თებერვლის პირველი კვირის ბოლოს გამართავს და გადაადგილებებსაც მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ველოდოთ. მათ შორის იქნებიან „ბორჯღალოსნებიც“. დღესდღეობით საქართველოს ნაკრები 69.43 ქულით მე-14 ადგილს ინარჩუნებს და „ერთა თასზე“ მონაწილე ყველა სხვა გუნდზეა დანიშნული.

მონივნება შორის მონივნები კი ახალი ზელანდიის ნაკრები, რომელსაც ფეხდაფეხ მიყვებიან სამხრეთ აფრიკისა და ავსტრალიის გუნდები.

ამასობაში გერმანიის რაგბის კავშირი „ერთა თასზე“ საქართველოს უმთავრესი გუნდის სამასპინძლოდ ემზადება. ქართველების გერმანელებთან შერკინება კი 7 თებერვალს ჰაიდელბერგის სპორტპარკში გაიმართება.

მართალია, გერმანიის ნაკრების მწვრთნელებს რუდოლფ ფინშტერერსა და მარკ კულმანს შემადგენლობა ჯერ არ გაუხმოვანებიათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქართველთა მომავალმა მასპინძელმა რაგბის თამაშს მტკადა უმატა, მათთან იოლ გასაღრმობას არ უნდა ველოდოთ.



საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში 7 თებერვალს ჩაებმება.

გერმანელების არ იყოს, საკუთარი რჩეულები არ გამოუცხადებია „ბორჯღალოსანთა“ ავსტრალიელ დამრიგებელ ტიმ ლეინსაც.

...„ერთა თასის“ მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ ორი მატჩია ჩატარებული. აქედან ერთს სწორედ გერმანელებთან მიყვართ, რომლებმაც ესპანეთში ესპანელებისგან იგემეს ნაგება - 11:22. მეორე შეხვედრა კი ესპანელებისა და რუსების ორთაბრძოლაა. ამ შემთხვევაში ესპანელები გასვლით შეხვედრაში - 15:42 განადგურდნენ.

„ერთა თასის“ ფარგლებში 7 თებერვალს გერმანია-საქართველოს გარდა, კიდევ ორი შეხვედრა შედგება. ესპანელები მადრიდის უნივერსიტეტის სარბიელზე რუმინეთს უმასპინძლებენ, ხოლო პორტუგალიელები ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე რუსებს მიიღებენ.

ვკვლავ გარდა, კიდევ ორი შეხვედრა შედგება. ესპანელები მადრიდის უნივერსიტეტის სარბიელზე რუმინეთს უმასპინძლებენ, ხოლო პორტუგალიელები ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე რუსებს მიიღებენ.

IRB-ს რეიტინგი 27 დეკემბრისთვის

1 (1).	ახალი ზელანდია	92.68
2 (2).	სამხრეთ აფრიკა	89.45
3 (3).	ავსტრალია	85.86
4 (4).	არგენტინა	81.56
5 (5).	უელსი	81.03
6 (6).	ინგლისი	80.86
7 (7).	საფრანგეთი	79.49

8 (8).	ირლანდია	78.45
9 (9).	შოტლანდია	76.76
10 (10).	ფიჯი	75.24
11 (11).	იტალია	74.64
12 (12).	სამოა	72.57
13 (13).	ტონგა	70.05
14 (14).	საქართველო	69.43
15 (15).	კანადა	69.12
16 (16).	იაპონია	68.05
17 (17).	რუმინეთი	67.20
18 (18).	რუსეთი	64.63
19 (19).	აშშ	63.55	
20 (20).	ურუგვაი	62.78	
21 (21).	ესპანეთი	61.18	
22 (22).	ს.კოორეა	59.02	
23 (23).	პორტუგალია	58.57	
24 (24).	ჩილე	56.84	
25 (25).	ნამიბია	56.82	
26 (26).	გერმანია	56.73	


"ქორეაზე" ზედრიზად მორად ნააბას

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია „ატლანტა ჰორნეტსმა“. საკუთარ მოედანზე „ფინიქსთან“ ნაგებული თამაშის შემდეგ ჯორჯიელები მაიაშის ესტუმრნენ და ადგილობრივ „ჰიტთან“ პირმინდად დამარცხდნენ.

„მაიაში“, რომელიც აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა, პლეი-ოფის საგზურისთვის იბრძვის. ასე რომ, „ქორეებთან“ გამარჯვებას ამ გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თამაში დაძაბული არ ყოფილა. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში მოაგვარეს ყველაფერი. ასე თუ ისე თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ (17:14) შეხვედრის მეორე მეოთხედში „ჰიტმა“ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა. „ქორეებმა“ პირველი ნახევრის მეორე ნახევრი სუსტად ითამაშეს და ანგარიში 13:29 დათმეს. შესვენებაზე „მაიაში“ 19-ქულიანი უპირატესობით გავიდა. მართალია, მეორე ტაიმში სტუმრებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ თამაშის გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

შეხვედრის გმირად კი მაიაშელთა ლიდერი დუეინ ვეიდი იქცა.



ფაჩულიამ „მაიაშისთან“ მატჩი ჩააგდო.

„ჰიტის“ მცველმა 35 ქულით, 5 მოხსნით და 4 შედეგიანი გადაცემით დაასრულა თამაში.

„ქორეების“ შემადგენლობაში თავი გამოიჩინა ჯო ჯონსონმა. მის ანგარიშზეა 19 ქულა, 4 მოხსნა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა.

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მან თამაში ამჯერადაც „ატლანტას“ ძირითად ხუთეულში დაიწყო, თუმცა გუნდს ვერაფრით დაეხმარა. ქართველმა ცენტრმა 21 წუთში ერთი ქულა და ოთხი მოხსნა შეანია საკუთარ გუნდს. ზაზასთან ერთად თამაში ჩააგდო „ატლანტას“ ლიდერმა მაიკ ბიბიმ, რომელმაც შეხვედრა ორი ქულით დაასრულა. რაც მთავარია, ბიბიმ ვერავითარი ნიშანდობილი ვერ გაუწია დუეინ ვეიდს.

ამ მარცხის მიუხედავად, „ატლანტა“ სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილს ინარჩუნებს. აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მყარად დამკვიდრდა მეოთხე პოზიციაზე და, თუ რაიმე საოცრება არ მოხდა, პლეი-ოფშიც გავა.

მომდევნო მატჩს ფაჩულია და მისი თანაგუნდელები ნიუ იორკში, ადგილობრივ „ნიქსთან“ გამართავენ.

კობიაშვილი სთამამოდ მზადაა

საქართველოს ნაკრებისა და გერმანიის ბუნდესლიგის კლუბ „შალკეს“ ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა ტრავმა სრულად მოიშუშა და გუნდთან ერთად სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა.

როგორც „შალკეს“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, მას გერმანიის თასის 1/8-ფინალის შეხვედრაში თამაში შეეძლება, სადაც გელზენკირხენელთა მეტოქე „კარლ ცაისი“ იქნება.

ქართველის მსგავსად გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ივარჯიშა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ორლანდო ენგელარმა. სამაგიეროდ თანაგუნდელებს ჯერ ვერ ეხმარება მცველი კრისტიან პანდერი. ბრაზილიური „კურიტიბიდან“ „შალკეში“ გასასინჯად მივიდა მცველი ბრუნო სოარეში. ის გერმანელთა განკარგულებაში ერთი კვირა დარჩება, რის შემდეგაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ფრედ რუტენი სამხრეთამერიკელის ბედზე იმსჯელებს.

გოგუა წინადადებას ელის

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა რუსეთის საფეხბურთო პრემიერლიგაში მოასპარეზე ნალჩიკის „სპარტაკმა“, რომლის შემადგენლობაში მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი და ნახევარმცველი გოგუა გამოდიან, შვეიცარიის „ვალუტთან“ ამხანაგური მატჩი 1:1 დაასრულა.

განვიღო შეხვედრაში ორივე ქართველი ფეხბურთელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში იყო. ისინი შესვენების შემდეგ შეცვალეს.

მატჩის შემდეგ ნალჩიკელთა მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა ზამთარში გოგუას გუნდიდან სავარაუდოდ ნასვლის თაობაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „გოგუა სეზონისთვის ჩვენთან ერთად ემზადება. თუ რომელიმე კლუბი მისაღები წინადადებას მოგვმართავს, მაშინ მას გაუშვებთ“.

თურქეთში შეკრებას გადის მოსკოვის „ლოკომოტივიც“, რომელიც რუმინეთის „გლორიას“ წინააღმდეგ ჩატარებულ პირველ ამხანაგურ შეხვედრაში 0:1 დამარცხდა. განვიღო მატჩში მოსკოველთა „სასტარტოში“ იყო დავით მუჯირი, რომელიც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

კუპერი თურქეთში ამისულაშვილსა და მუჯირს აკვირდება

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი თურქეთში იმყოფება სამუშაო ვიზიტით, სადაც შეკრებაზე მყოფ ქართულ კლუბებსა და სხვადასხვა უცხოურ გუნდებში მოთამაშე ჩვენს ლეგიონერებს აკვირდება. თუმცა არგენტინელი სპეციალისტის ვოიაჟს მეზობელ სახელმწიფოში უფრო კონკრეტული მიზანიც ჰქონია. ამის შესახებ „ზესტაფონი“- „კუბანის“ მატჩის შემდეგ თავად კუპერმა ისაუბრა: „მე საქართველოს ნაკრების სრულ განკარგულებაში ვარ. თურქეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ მიხდა ვნახო ის სპარინგმატჩები, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები მონაწილეობენ. ამ ვიზიტს უფრო კონკრეტული მიზანიც აქვს - მინდა დათო მუჯირისა და ალექსანდრე ამისულაშვილის თამაშებს დავეხსნო. ეს ფეხბურთელები რუსეთის ჩემპიონატში ასპარეზობენ და ახლა თურქეთში გადიან მზადებას“, - თქვა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

„ბაქოს თასზე“ ოთხმა ქართველმა იმარჯვა

აზერბაიჯანის დედაქალაქში 23-24 იანვარს გამართულ „ბაქოს თასზე“ ქართველმა მძლეოსნებმა ოთხი პირველი ადგილი დაიკავეს. ბორისლავ სხირტლაძემ სივრცეზე ხტომაში იმარჯვა (6 მეტრი, 94 სანტიმეტრი), გიგლა ზილბერშტიინმა 3 000 მეტრზე სირბილში აჯობა ყველას (8 წუთი, 50 წამი), დენის უვანია 200 მეტრზე სპრინტში იყოჩაღა (23.52 წამი), ხოლო პეკინის ოლიმპიადის მონაწილე დავით ილარიანი 60 მეტრზე თარჯრბენში (8.11 წამი) გამოიჩინა.

ამ ოთხეულის გარდა, „ბაქოს თასზე“ კიდევ ორმა ქართველმა მძლეოსანმა მიიღო მონაწილეობა. 60-მეტრიან დისტანციაზე სირბილში მოსინჯა ძალები გიორგი ანთელიძემ, რომელმაც მესამე შედეგი აჩვენა (7.0 წმ), 400 მეტრზე რბენაში მეორე იყო ენდრიკ ზილბერშტიინი (50.7 წმ), ხოლო ბორისლავ სხირტლაძემ, სივრცეზე ხტომაშიადა ერთად, სამმა ხტომაშიც მოსინჯა ძალები და მეორე ადგილზე გავიდა (14.52 სმ).

ქართველმა მძლეოსნებმა „ბაქოს თასზე“ პირველად მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს ნაკრების წევრები აზერბაიჯანის დედაქალაქში შეკრებასაც გადიან. შემდეგი გამოცდა ქართველებს 30-31 იანვარს აზერბაიჯანის თასზე ელით. აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ, 6-7 თებერვალს, მძლეოსნები თავს მოიყრიან თბილისის პირველობაზე, რომელიც დიდუბის მანეჟში ჩატარდება.

ქვეხიშვილმა ამერიკის საუნივერსიტეტო პირველობაზე გაიმარჯვა

პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველმა ბირთვის მკვრელმა მარიამ ქვეხიშვილმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, 24 იანვარს წარმატებით იასპარეზა ფლორიდის შტატის საუნივერსიტეტო პირველობაზე. ქვეხიშვილმა ტომ ჯონსის სახელობის მემორიალზე ბირთვი 17 მეტრსა და 17 სანტიმეტრზე კრა და ამ შედეგით პირველი ადგილი დაიკავა. ქვეხიშვილმა წინა საუნივერსიტეტო შეჯიბრებაზე ნაჩვენებები შედეგი (17. 10 მ) 7 სანტიმეტრით გააუმჯობესა და კიდევ უფრო მიუახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატის ნორმატივს. მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად, რომელიც 2009 წელს ბერლინში გაიმართება, ქვეხიშვილმა ბირთვი 17.20 მეტრზე უნდა კრას.

"პორტსმუთმა" დუეტი დაიმტკიცა

ინგლისური "პორტსმუთის" რიგები ჰეიდენ მალინსმა და პელემ შეავსეს. 29 წლის მალინსმა ბოლო ხუთი წელი ლონდონის "ვესტ ჰემში" გაატარა, "პორტსმუთთან" კი 3.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 21 წლის პელე ინგლისში პორტუგალიური "პორტუდან" გადაბარგდა და პრემიერლიგაში, იჯარის წესით, მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს. შეთანხმების მიხედვით, ამის შემდეგ "პორტსმუთს" პელეს გამოყენება შეეძლება.

პანური რომს ტოვებს

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა, "რომას" მცველმა კრისტიან პანურმ გუნდის გამოცვლის სურვილი გამოთქვა. მას შემდეგ, რაც "ნაპოლისთან" 3:0 მოგებულ შეხვედრაში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ის ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა, ვეტერანმა უკანახაზელმა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ისურვა და კლუბიდან ნასვლა გადაწყვიტა. "რომადან" ნასვლა ყოველგვარი უთანხმოების გარეშე მინდა. დავრწმუნდი, რომ ამ კლუბში აღარ მავასებენ და აღარ ვჭირდები. კარიერის დასრულებაზე არ ვფიქრობ. ჩემთვის სულ ერთია, იტალიაში ვითამაშებ თუ სხვა ქვეყანაში, თუმცა შეთავაზება ჯერ არავისგან არ მიმიღია", - თქვა 35 წლის პანურმი.

აბონდანიური სამშობლოში დაბრუნდა

ესპანური "ხეტაფეს" გოლკიპერი რობერტო აბონდანიური არგენტინული "ბოკა ხუნიორსის" წევრი გახდა. "ხეტაფეში" აბონდანიურს სერბი ვლადიმირ სტოიკოვიჩი შეცვლის, რომელიც აქამდე ლისაბონის "სპორტინგის" ლირსებას იცავდა. პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონში არგენტინელ გოლკიპერს 13 მატჩი ჰქონდა ჩატარებული.

ლისანდრო ლოპესი 30 მილიონად შეფასდა

პორტუგალიური "პორტუ" მზადაა გუნდის ლიდერი ლისანდრო ლოპესი მადრიდის "რეალში" 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ გაუშვას. ესპანელებმა პორტუგალიელებს ოფიციალური წინადადებათი მიმართეს, რაზეც ხსენებული პასუხი მიიღეს.

დუნგამ რონალდინიო ნაკრებში დააბრუნა

ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დუნგამ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც 10 თებერვალს ლონდონში იტალიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდება.

ნაკრებში დაბრუნდა იტალიური "მილანის" ფორვარდი რონალდინიო, რომელმაც ბრაზილიელთა ბოლო ორი მატჩი გამოტოვა.

მეკარები: ჟულიო სეზარი ("ინტერი", იტალია), დონი ("რომა", იტალია).

მცველები: მაიკონი ("ინტერი", იტალია), დანიელ ალვეში ("ბარსელონა", ესპანეთი), ადრიანო კორეია ("სევილია", ესპანეთი).


ნახევარმცველები: ელანო ("სიტი", ინგლისი), ჟილბერტო სილვა ("პანათინაიკოსი", საბერძნეთი), ჟოსე სუე ("ვოლფსბურგი", გერმანია), ანდერსონი ("მანჩესტერი", ინგლისი), მელო ("ფორენტინა", იტალია), ბაპტიშტა ("რომა", იტალია), კაკა ("მილანი", იტალია), რონალდინიო ("მილანი", იტალია).

ფორვარდები: ლუიზ ფაბიანო ("სევილია", ესპანეთი), პატო ("მილანი", იტალია), რობინიო ("სიტი", ინგლისი), ადრიანო ("ინტერი", იტალია).

ადრიანო დასაქვს

მილანის "ინტერის" ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ გენუის "სამპდორიას" მცველ დანიელე გასტაღდელოსთან უხეშობისთვის იტალიის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტისგან სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. სერია A-ს დასკვნით ტურში ადრიანომ "სამპდორიას" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და მილანელებს 1:0 მოაგებინა, თუმცა, მატჩის ბოლოს ნერვებმა უმტყუნა და გასტაღდელოს იდაყვი უთავაზა, რაც დისციპლინარებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

ბლატარი აფრიკული ფეხბურთის მომავალს იზიარებდა



ბლატარი: "მუნდილის გამართვას საფრთხე არ ემეორება".

სულ რაღაც 500 დღეც და სამყარო უდიდესი მოვლენის მომსწრე გახდება. ოთხნეულ-ის მთავარ საფეხბურთო ტურნირს აფრიკის კონტინენტმა უნდა უმასპინძლოს. მუნდილის შავ კონტინენტზე გამართვის იდეას ადრეც ბევრი უყურებდა სკეპტიკურად და ახლაც, როდესაც ოფიციალურად ცნობილია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გამართვის ადგილი არ შეიცვლება და მუნდიალს აუცილებლად სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრობლემები მრავლადაა. დარჩენილ წელიწად-ნახევარში აფრიკელებმა ყველა სტადიონის მშენებლობა უნდა დაასრულონ და ქვეყანაში ინფრასტრუქტურის მოწყობა უზრუნველყონ. მართალია, დრო ცოტაა და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმი-სა, რომ სამუშაოები ვერ მოესწროს, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორები და ფიფას ჩინო-ვნიკები ირწმუნებიან, რომ სამხრეთ აფრიკა მუნდიალის მისა-ღებად არათუ 2010 წლის ზაფხულში, არამედ 2009 წელს იქ-ნება მზად, როდესაც ამ ქვეყანა-მ კონფედერაციის თასის გა-თამაშებას უნდა უმასპინძლოს.

ყველაფერ ამის თაობაზე ფიფას ოფიციალური ვებგვერ-დის ჟურნალისტს ამ ორგანი-ზაციის პრეზიდენტი და მსოფ-ლიო ფეხბურთის ნომერ პირ-ველი ჩინოვნიკი ზეპ ბლატერი ესაუბრა.

- სულ რაღაც წელიწად-ნახევარში მუნდიალს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. დღევანდელი გადმოსახედიდან რით არის განსაკუთრებული 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატი?

- ის, რომ აფრიკის კონტი-ნენტი მუნდიალს უმასპინძ-ლებს, უკვე მნიშვნელოვანია. ამ-კარაა, რომ აფრიკამ ფეხბ-ურთს ძალიან ბევრი მისცა და მისი შემდგომი განვითარების საქმეშიც დიდი წვლილი აქვს შეტანილი. "შავ კონტინენტზე" აღზრდილი უმაღლესი დონის მოთამაშეების ჩამოთვლას რომ შევუდგეთ, დიდ დროს და-ვკარგავთ და ეს არც აისის სა-ჭირია. ფეხბურთის გულშემატ-კივარმა მათი გვარები ჩემს გა-რემეც კარგად იცის. მორიგი

მუნდიალის სტარტამდე 500 დღით ადრე სრული უფლება მაქვს იმედიანი და კმაყოფილი ვიყო. მოგესხენებათ, აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატა-რება ჩემი ოცნება იყო და ეს ოცნება ამიხდება. ჯერ კიდევ 1976 წელს, როდესაც ფიფაში მუშაობა ახალი დანაყოფილი მქონდა, ეთიოპიას ვესტუმრე. სწორედ მაშინ საკუთარი თვა-ლით დავინახე, თუ რას ნიშნავს ფეხბურთი აფრიკელი ადამი-ნებისთვის.

- თქვენი აზრით, შეძლო თუ არა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მუნდიალის გა-მართვას საფრთხე ხომ არ ემ-უქრება?

- სრული პასუხისმგებლო-ბით ვაცხადებ, რომ ყველაფერი დაგეგმილზე სწრაფად და ცო-ტა უკეთესადაც კი მიდის. სამ-ხრეთაფრიკელებმა სასიაშოფ-ოდ გამოაცხეს - მათ სარბიელ-ებს, ტურნირის ტექნიკურ და ლოჯისტიკურ უზრუნველყო-ფას იოტისოდენა წუნსაც ვერ უპოვით. მერწმუნეთ, ცდება ის ხალხი, ვინც ამბობს, რომ პრო-ბლემები იქნება. მუნდიალზე ჩასულ უამრავ გულშემატკივ-არს არც ტრანსპორტთან და-კავშირებით შეექმნება რაიმე პრობლემა. ასე რომ, ღრმად

მნამს - 2010 წლის მუნდიალი მაღალ დონეზე ჩაივლის. ამას-თან, ისე ნუ გავიგებთ, თითქოს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიო-ნატი მხოლოდ სამხრეთ აფრი-კას "ეკუთვნოდეს" - მომავალი მუნდიალი მთლიანად აფრიკის კონტინენტის საკუთრებაა.

- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ხომ არ შეაყოვნებს მუნდიალისთვის მზადებას?

- არა. ბიუჯეტი უკვე დამტ-კიცებულია და სათანადო თან-ხაც უსაფრთხოდაა აკუმული-რებული. გაითვალისწინეთ, რომ კრიზისი აფრიკის კონტი-ნენტს ისე მწვავედ არ შეხებია, ფული კი სწორედ ამ კონტინენ-ტზეა დაბანდებული.

- აფრიკული ფეხბურთი განსაკუთრებულ მხარდაჭე-რას გრძნობს. პირადად თქვენ როგორ გესახებათ ფიფას რო-ლი ამ საქმეში?

- დღეს ფეხბურთი ძალიან პოპულარულია. დამისახელეთ რომელიმე სფერო, რომელსაც ერთი თვის განმავლობაში მი-ლიარდი ადამიანის ერთად შეყ-რა შეუძლია. ფეხბურთი ადამი-ანთა შეკავშირებისა და დაახ-ლოების საუკეთესო საშუალე-ბაა. ფეხბურთი მხოლოდ ბურ-თზე ფეხის დარტყმა როდია. ეს უკვე ყველამ კარგად იცის. ვინც დღეს ფეხბურთის თამაშს იწყებს, ყველა ვარსკვლავი ვერ გახდება, მაგრამ ნებისმიერი

ბავში, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, უეჭველად კარგი მოქალაქე დადგება.

- აფრიკული ფეხბურთის პერსპექტივაზე არაფერი გი-თქვამთ...

- აფრიკულ ფეხბურთს უდ-იდესი პერსპექტივა აქვს. თუმ-ცა იმასაც გეტყვით, რომ, ჩემი აზრით, მომავალ მუნდიალზე აფრიკის რომელიმე წარმომ-ადგენელი ნახევარფინალამდე ვერ გააღწევს. ჯერჯერობით "შავი კონტინენტის" საფეხბუ-რთო ინფრასტრუქტურა ევ-როპის, სამხრეთ ამერიკისა და აზიისას ჩამორჩება. მსოფლიო ჩემპიონატის აფრიკაში ჩატა-რება ამ ქვეყნების საფეხბურ-თო განვითარებას ყოველმხრ-ივ შეუწყობს ხელს.

- თქვენი სიტყვებიდან გა-მომდინარე, არც ისე შორსაა ის დღე, როდესაც აფრიკის წარმომადგენელი მუნდიალ-ის ნახევარფინალში ან ფინა-ლში ითამაშებს.

- ეს დღე აუცილებლად და-დგება. მაგრამ არ მინდა ჩემი სიტყვები ისე გაიგოთ, თითქოს 2010 წელს ამ ამბავს საერთოდ გამოვიცხავ. მომავალში კი აფრიკული ფეხბურთი, როგ-ორც საკულტო, ისე სანაკრებო დონეზე, ღირსეულ წინააღმდე-გობას გაუწევს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის წარმომად-გენლებს.

საქართველოს ეროვნულმა ანტიდოპინგურმა სამსახურმა ახალი პრობრამა შეიქმნა

მსოფლიოს 2009 წლის ან-ტიდოპინგური კოდექსისა და UNESCO-ს საერთაშორისო კონვენცია "სპორტში დოპინ-გის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართვე-ლოს ანტიდოპინგურმა სააგე-ნტომ, სპორტში დოპინგის გა-მოყენების თავიდან აცილები-სა და დოპინგისგან თავისუ-ფალი სპორტული ღონისძიე-ბების ჩატარების მიზნით, შეი-მუშავა საქართველოს ეროვ-ნული ანტიდოპინგური პროგ-რამა.

ეროვნული ანტიდოპინგუ-რი პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

I. დოპინგტესტირების ჩა-ტარება საშეჯიბრო და არასა-შეჯიბრო პერიოდში საქართვე-ლოს ანტიდოპინგური სააგენ-ტოს (სადს) ტესტირების სრე-გისტრაციო სიაში მყოფი სპო-რტსმენებისთვის.

II. დოპინგტესტირების ჩა-ტარება საქართველოში გამარ-თულ საერთაშორისო შეჯიბ-რებებსა და მატჩებში მონაწი-ლე სპორტსმენებისთვის.

III. საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო საქმიანობა: ლექცია-სემინარების ჩატარე-ბა, ექიმების, სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის მესვეურთათვის სპეციალური

ბროშურებისა და სამახსოვრო-ების დაბეჭდვა-დარიგება;

IV. მსოფლიოს ანტიდოპინ-გური ორგანიზაციის მიერ გა-მოცემული აუცილებელი დი-რექტიული მასალების თარგმ-ნა და გამოცემა.

V. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საქართვე-ლოს სახელით მოასპარეზე სა-ერთაშორისო დონისა და მზა-რდი, პერსპექტიული სპორტს-მენების მონაცემთა ბაზის შექ-მნა.

VI. ელექტრონული და ბეჭ-დვითი მედიისთვის ანტიდოპი-ნგური მასალების მომზადება და დოპინგისგან თავისუფალი

სპორტული ღონისძიებების ჩა-ტარების პროპაგანდა.

VII. ეროვნული ანტიდოპინ-გური სააგენტოს მონაწილეო-ბა მსოფლიო ანტიდოპინგური ორგანიზაციის ეგიდით ჩატა-რებულ სავალდებულო საერ-თაშორისო შეკრებებსა და კონ-ფერენციებზე.

VIII. დოპინგოფიცირების მო-მზადება (სულ მცირე, ერთი ქა-ლი და ერთი მამაკაცი დოპინ-გოფიცირი).

IX. აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ანტიდოპინგური ორგანიზაციის წევრთა ყოვე-ლწლიური კონფერენციის მომ-ზადება და ჩატარება.

არშავინი ფულს დახარბდა

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კაკას შესახებ ისეთი აურზაური ატყდა, რომ სხვა ტრანსფერები ჩრდილში მოექცა. თუმცა არანაკლებ საინტერესოდ და, ცოტა არ იყოს, უცნაურად ვითარდება რუსი ანდრეი არშავინის საქმე.

27 წლის ფეხბურთელი ევრო 2008-ის შემდეგ იქცა ვარსკვლავად და მისი შექმნის სურვილი არაერთმა გრანდმა გამოთქვა. კონტინენტის პირველობის დასრულების შემდეგ არშავინს "რეალი" და "ბარსელონა" ეპატიჟებოდნენ, თუმცა რუსეთის ჩემპიონატი გრძელდებოდა და "ზენიტი" ფეხბურთელს ვერ შეეღობა. თავად არშავინმა კი ულტიმატუმი წაუყენა კლუბს: ან გამიშვით, ან საერთოდ არ ვითამაშებო. თუმცა, როგორც პროფესიონალს შეეფერება, სეზონი ნევისპირულ გუნდში მაინც ჩაამთავრა.

დასრულდა რუსული პრემიერლიგის მორიგი გათამაშება და დაიწყო საგა არშავინის ტრანსფერის შესახებ.

თავდაპირველად ფეხბურთელი ამბობდა, ოღონდ რომელიმე გრანდში გადავიდე და ხელფასის შემცირებაზეც კი თანახმა ვარო. ეს ლოგიკურიც იყო - "ზენიტი" არშავინს დიდ ხელფასს უხდიდა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში გრანდები არშავინს ასეთ თანხას არ გადაუხდიდნენ. ამ ვითარებაში ერთადერთი პრობლემა იყო თავად "ზენიტი",



არშავინი ხელფასის შემცირებაზე უარს ამბობს.

რომელმაც არშავინის სანაცვლოდ დიდი კომპენსაცია მოითხოვა.

საბოლოოდ გამოჩნდა კლუბიც, რომელმაც რუსი შემტევის შეძენა ისურვა. ლონდონის "არსენალმა" ნევისპირელებთან მოლაპარაკება დაიწყო, თუმცა "ზენიტის" მესვეურები თავდაპირველად დასახელებული თანხის შემცირებაზე უარს ამბობდნენ. სანაკტეტურბურგული კლუბის ბოსები არშავინში 20 მილიონ ევროს ითხოვდნენ. რამდენიმე დღის წინ კი "არსენალის" მფლობელებმა განაცხადეს, 12 მილიონზე მეტს არ გადავიხდითო. ყველაფერი თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო კიდევ, თუმცა ორმა კლუბმა საერთო ენა მაინც გამოიხატა და მარტივი მათემატიკური გამოთვლების შემდეგ ორივესთვის მისაღებ ფასზე შეჯერდა. კერძოდ, "არსენალი" 16 მილიონის გადახდას დათანხმდა, "ზენიტმა" კი ამ თანხის სანაცვლოდ არშავინის გაშვება გადაწყვიტა.

ამის შემდეგ ტრანსფერს თითქოს წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ რუსებს რას გაუგებ. ახლა ტრანსფერს თავად არშავინი შეეწინააღმდეგა. საქმე ის არის, რომ "ზენიტში" ფეხბურთელი კვირაში 106 ათას ევროს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასის შემცირებაზე თავიდან თანახმა იყო, ახლა, როცა თითქოს ყველაფერი მოგვარდა, არშავინმა "არსენალთან" პირადი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა - ხელფასს თუ არ შემინარჩუნებენ, არსადაც არ გადავალო. "არსენალი" კი ფეხბურთელს კვირაში მხოლოდ 80 ათას ევროს სთავაზობს.

პალასიოსი კუბერომ უნდა შეცვალოს

ინგლისური "უიგანი" არგენტინული "ველეს სარსილის" კაპიტანი ფაბიან კუბეროთი დაინტერესდა. კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, 30 წლის ნახევარმცველმა ლონდონის "ტოტენჰემში" გადასული უილსონ პალასიოსი უნდა შეცვალოს.

"კუბერო არგენტინულ ფეხბურთში გამორჩეული ფიგურაა, რომელსაც ყველა დიდ პატივს სცემს. ვფიქრობ, მას ინგლისურ პრემიერლიგაში თამაში არ გაუჭირდება", - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა.

კუბეროს იტალიური პასპორტიც აქვს. ასე რომ, ინგლისში მუშაობის უფლების მიღება არ დასჭირდება.

"ვესტ ჰემმა" სერეკო შეიძინა

ლონდონის "ვესტ ჰემ იუნაიტედი" სერია B-ს ბინადარ "ბრეშა კალჩიოსგან" 10 მილიონი გირვანქის, ანუ 11 მილიონი ევროს საფასურად შეიძინა გერმანიის 19 წლამდელთა ნაკრების უგანდური ნარმომავლობის თავდამსხმელი სავიო სერეკო.

ეს ამ ინგლისური კლუბის ისტორიაში უძვირესი შენაძინა.

19 წლის სერეკომ "ჩაქურჩებს" ახლახან "მანჩესტერ სიტში" 14 მილიონ გირვანქად, ანუ 15,5 მილიონ ევროდ გაყიდული 29 წლის უელსელი თავდამსხმელი კრიეგ ბელამი უნდა შეუცვალოს.

ჭაბუკი მეგობარ, რომელმაც შარშან ნაკრებთან ერთად ჩეხეთში გამართულ ევროპირველობაზე იმარჯვა და უეფას მიერ "ტურნირის საუკეთესო მოთამაშის" ნოდება დაიმსახურა, ლონდონურ კლუბს დაუყოვნებლივ შეუერთდება.

მისით დაინტერესებული იყვნენ მილანის "ინტერი", ტურინის "იუვენტუსი", "რომა" და "ნაპოლი".

"ჰოფენჰაიმი" შერდლინგს იბრუნებს

"ჰოფენჰაიმი" შარშან ზაფხულში რეგიონალური "ვალდჰოფ მანჰაიმი" გაშვებულ 24 წლის თავდამსხმელ კაი შერდლინგს იბრუნებს.

შერდლინგი, რომელიც "ჰოფენჰაიმის" პირველი და მეორე გუნდების ღირსებას 2002-08 წლების განმავლობაში იცავდა, ახალ ძველ კლუბთან კონტრაქტს 27 იანვარს გააფორმებს.

ბუნდესლიგის შემოდგომის ჩემპიონის ის რამდენადმე მაინც შეუცვლის ორი კვირის წინ დაშვებულ ბონიელ მეგობარ ვედად იბიშევიჩს, რომელიც გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ 20 წლის ბრაზილიელი ფორვარდი ველინგტონი, რომელიც "ჰოფენჰაიმს" შარშან ზაფხულში "ნაუტიკო კაპიბარბედან" 4,5 მილიონი ევროს საფასურად შეუერთდა, კლუბიდან არ წავა.

ველინგტონმა მოლოდინი ვერ გაამართლა - მთელი პირველი წლის განმავლობაში მინდორზე მხოლოდ 28 წუთი დაჰყო. ფიქრობდნენ, რომ მას სადმე გააქირავენ ბუნდესლიგის გუნდებში, მაგრამ უიბიშევიჩობამ მის მომავალზეც იქონია გავლენა. კლუბმა გადაწყვიტა, რომ ბრაზილიელს მეორე წრეში კიდევ მისცეს თავის გამოჩენის შანსი.

კოვარი სამშობლოში ბრუნდება

ხორვატიის ნაკრების 34 წლის მცველი რობერტ კოვარი შეიძლება ზაგრების "დინამოში" გადავიდეს.

ამ ალბათობის შესახებ გერმანული კლუბის მენეჯერმა მიხაელ ცორკმა განაცხადა. მისი თქმით, "დორტმუნდმა" "დინამოს" წინადადება მიიღო.

"ჩვენ ახლა ამ შეთავაზებას განვიხილავთ", - თქვა მან.

ხორვატიის ნაკრების ღირსება კოვარს 80-ჯერ დაუცავს.

"ტოტენჰემი" შიმბონდათი და კუდიჩინით გაძლიერდა

ინგლისის "ტოტენჰემმა" ერთბაშად ორი მნიშვნელოვანი შენაძინა გააკეთა - ლონდონის "ჩელსიდან" იტალიელი მეკარე კარლო კუდიჩინი, "სანდერლენდთან" კი მცველი პასკალ შიმბონდა დაიმატა.

კარგა ხანია კუდიჩინი "ჩელსის" შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, რის გამოც "არისტოკრატებთან" კონტრაქტი განაგრძო და მეორე ლონდონურ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა.

კუდიჩინის ახლა მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება, რაც ჩვენთან აკლდა. ის მართლაც კარგი მეკარეა და მხოლოდ საუკეთესოს ვუსურვებ", - განაცხადა "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ.

რაც შეეხება შიმბონდას, ის "ტოტენჰემს" ექვსთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. "სანდერლენდში" გასულ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა, ახლა კი კვლავ ლონდონურ გუნდში იასპარეზებს. 29 წლის უკანახაზელმა "ტოტენჰემთან" კონტრაქტის დეტალები შეათანხმა და ინგლისის დედაქალაქში ჩასვლის შემდეგ, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის, კლუბთან ხელშეკრულებას გააფორმებს.

"სანდერლენდში" მოსვლის დღიდან შიმბონდა თავს ცუდად გრძობდა, ახლა კი მისთვის სასიამოვნო სიურპრიზის გაკეთების საშუალება მოგვეცა. ახლა ის ლონდონშია და სამედიცინო შემოწმებას გადის. თუმცა, თუ საქმე კარგად არ წაუვა, დიდი სიამოვნებით დაუბრუნდებო", - თქვა "სანდერლენდის" მთავარმა მწვრთნელმა რიჩარდ სტრაიკამ.

საფინანსო ავსტრალიელთა იმედი დაასამარა

ავსტრალიის ღია პირველობის გუშინდელი შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში ქალთა გათამაშება მოექცა, სადაც ერთმანეთის პირისპირ დინარა საფინა და ელენა დოკიჩი წარსდგნენ.

საქმე ისაა, რომ გავსტრალიელელებული დოკიჩის წყალობით მასპინძლებს რეალური შანსი ჰქონდათ მათ წარმომადგენელს ნახევარფინალში ეთამაშა. ისე კი ელენა დოკიჩი ცალკე საუბრის თემაა. ავსტრალიელ ჩოგბურთელს თითქმის სამი წელიწადია არ უთამაშია. არადა ერთი ხანობა დოკიჩი ყველაზე იმედისმომცემ ჩოგბურთელად მიიჩნეოდა, მაგრამ გოგონას მშობლების გამო სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა. ამას კი ის მოყვა, რომ დოკიჩმა საჩოგბურთო კარიერაზე ფაქტობრივად ხელი აიღო. აი, შარშან კი ავსტრალიაში გადაბარგებულმა, მშობლებისადმი ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტა და მოგვიანებით კორტებსაც დაუბრუნდა. მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით ელენას ავსტრალიის ღია პირველობაზე სერიოზულად არავინ აღიქვამდა, თუმცა ავსტრალიელთა გასახარად დოკიჩმა მეოთხედფინალამდე გააღწია, სადაც რუს დინარა საფინას გადაეყარა.



ავსტრალიელთა იმედი ტურნირს გამოეთმოა.

რუსმა ჩოგბურთელმა ჩვეულ სტილში ითამაშა. და საერთოდ, დინარა ავსტრალიის ღია პირველობის მოგების მთავარ პრეტენდენტად მოიაზრება. რუსმა დოკიჩს ფაქტობრივად, შანსი არ მისცა. მართალია, თამაში დაძაბული გამოდგა, მაგრამ პირველი სეტი ტაიბრეიკზე ჯოკოვიჩმა მოიგო, მეორეში და მესამეში როდიკმა იმარჯვა, ხოლო მეოთხე სეტში სერბმა ტრავმის გამო თამაშზე უარი თქვა

(6:7, 6:4, 6:2, 2:1). ასე, რომ ავსტრალიის ღია პირველობას ახალი გამარჯვებული ეყოლება. დღის უკანსკნელ მატჩში როჯერ ფედერერმა არგენტინელი დელ პოტრო გაანადგურა სამ სეტში და შემდეგ ეტაპზე გავიდა. შევიცარიელმა მეტოქეს პირველი სეტი ანგარიშით 6:3 მოუგო, დანარჩენ ორში კი მას გეიმის მოგების საშუალებაც არ მისცა - 6:0, 6:0.

AFP - 2009

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.
- New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



კანადელებს მეტად ორიგინალური სახეობა მოსვლიათ თავში. სახეობა კი შემდეგი რალაცეებისგან შედგება. კერძოდ მოყინულ ბილიკებზე ციგურებით რბენისგან, ამასთან ისე, რომ მონანილეს გზადაგზა ბარიერები აქვს გადასალახი. ამიტომაც სპორტის ამ სახეობას წინ ექსტრემალურიც უძღვის. მთავარი აქაც ფინიშამდე საუკეთესო დროში მიღებნაა. უჩვეულო სახეობის მასპინძელი კი საგანგებოდ მონყობილი კვებეკის ქუჩები ყოფილა. წლეულს ამგვარი რამ მეოთხედ ჩატარებულა. მონანილეობა კი ჩრდილოამერიკელებთან ერთად ევროპელებსაც მიუღიათ. ვაჟებში გამარჯვება სულაც ფინელს უზემია, ხოლო ქალებში მასპინძელთა წარმომადგენელს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი უ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული

მულტიფოკალური

ბროლი Acrysof-ReSTOR

კატარაქტის ქირურგიაში

საუკეთესო მხედველობა

სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე ახლო

მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან, მაგთიდან, ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად დავეუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და კულტურის კვლევების ცენტრის კვლევების და კულტურის კვლევების ფაკულტეტის ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი გაგრძელდეს და საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2009 წლის 18 თებერვალი, ხოლო შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2009 წლის 23 თებერვლისა.

რექტორი გივი თევზაძე

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 23 იანვარს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (2 ლოტიანი) სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 23 იანვარს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) (ზაზიაშვილის, ქიზიყის ქუჩის კაპიტალური შეკეთების დამატებითი სამუშაოები) სამუშაოების (2 ლოტიანი) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

განცხადების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ქუჩის (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დანაშაულებიერ პირს.

შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, ქუჩის (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ლოტი N2 ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით :

ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩაზე სამხედრო ნაწილთან მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

შეცვლილ იქნას შესრულების სავალდებულო ვადა ლოტი N2 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) თვე;

შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი ქ. თბილისში, ქუჩის (გზის საფარის) კაპიტალური შეკეთების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების (2 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

სატენდერო კომისია

ცვლილება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 23 იანვარს ორ ლოტად გამოცხადებული საწვავის შესყიდვაზე სატენდერო განცხადების შინაარსში შევიდა ცვლილება მე-8 პუქტში, კერძოდ მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2009 წლის 23 იანვარს ორ ლოტად გამოცხადებული საწვავის შესყიდვაზე სატენდერო განცხადების შინაარსში შევიდა ცვლილება მე-8 პუქტში, კერძოდ მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

8. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს:
მიმღების დასახელება - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიში N200122900, მიმღები - სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N302004000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - საწვავის შესყიდვა.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად, ასევე დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნონ ადგილზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

ქეთევან გელაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.
საკონტაქტო ტელეფონი: 91-05-17
ფაქსი: (995 32) 91-03-41
მისამართი: ქ.თბილისი, წმ.ნიკოლოზის/წმ.ჩხვიდის ქ. N2, სააგენტოს შესყიდვების სამსახური (III სართული).

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 2009 წლის 14 იანვარს გახუთ „24 საათში“ სკოლამდელი აღზრდის დანებსებულებებისათვის კვების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადების პირველ პუნქტში და მისი პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: რაიონში განთავსებულია 28 სკოლამდელი აღზრდის დანებსებულება, რომელშიც სიით ირიცხება 5487 აღსაზრდელი“ და შემდეგ ტექსტის მიხედვით

სატენდერო კომისია

ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის განცხადება

სკოლამდელი აღზრდის დანებსებულებებისათვის კვების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამგეობის მიერ მიმდინარე წლის 5 იანვარს ერთ პირთან მოლარაკების საშუალებით გაფორმებული იქნა ხელშეკრულება შპს „ელფთან“.

აღნიშნული შესყიდვა განხორციელდა, როგორც გადაუდებელი აუცილებლობის შესყიდვა სატენდერო პროცედურების დამთავრებამდე.

ჰაიდელბერგცემენტი HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ფასთა გამოკითხვას

რუსთავის ცემენტის ქარხანაში დაფუძვნილი საამქროს N2 და N6 ნისქვილის ფუნდამენტის აღდგენით სამუშაოებზე. ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
წინამძღვრიშვილის ქ. N 90
ტელ: +995 77 57 75 12;
+995 32 47 47 47

ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 30 იანვარი

Tender announcement of Staff of Parliament of Georgia

1. Staff of Parliament of Georgia announces a tender on state procurement of vehicle fuel (petrol and diesel) and invites all interested individuals to participate in it.

2. The unit of procurement is divided into 3 lots:
Lot I - 500,000 liters of premium AI-95 petrol from provider's gas station (a coupon system);
Lot II - 26,100 liters of vehicle "euro-diesel" from provider's gas station (coupon system);
Lot III - 34,000 liters of L-62 diesel to be delivered to buyer's address.

3. Service delivery must be conducted, as requested by the procuring organization, up till December 31, 2009.

4. Interested individuals must present the qualification data and tender proposal (in a sealed envelope), drawn up in Georgian, from 10:00 am. February 18, 2009, till 15:00 pm. February 18, 2009, on the following address: Parliament of Georgia, 8 Rustaveli Ave., Tbilisi. Tel: 28-13-69; 28-15-63. Tender proposal will be unsealed at the address mentioned above, at 15:00 pm, February 18, 2009 (candidates have the right to attend the opening).

5. The qualification data must include the following:

5.1 For the legal entities:

- a) A certificate from rightful bodies asserting that no case of its bankruptcy or readjustment is under progress;
- b) A certificate asserting that no debt exists before the budget;
- c) A certificate asserting that its property is not sequestered;
- d) An abstract from entrepreneur's register.

5.2 For individuals:

- a) A certificate from a rightful medical institution asserting that a physical person is effective;
- b) A certificate from a rightful body asserting that no case of his bankruptcy is in progress;
- c) A certificate asserting that no budgetary indebtedness exists.

6. Legal entities and individuals will not qualify, if he/it will not present - by indicated date, all references and information, listed in item 5, or some of them will turn out to be false.

7. Candidate must present the maintenance warranty of tender proposal by 1% of total value of tender proposal.

8. Mechanism providing the fulfillment of the contract on state procurement by 3% of the total price of the contract will be utilized.

9. Candidates will be able to receive tender documentation, drawn up in Georgian, after paying tender fee of 200 (two hundred) GEL on the following account: Overall account of the National treasury - 200122900, National treasury bank code - 220101222, Treasury code of the budget income - 302004100. Destination of settlement - "fee for tender held by Staff of Parliament of Georgia". Tender documentation will be given out from 10:00 am. January 27, 2009 till 18:00 pm. February 17, 2009 on the following address: Parliament of Georgia, 8 Rustaveli Ave., Tbilisi.

10. After qualification phase, documents asserting qualification data presented in accordance with the item 5, will not be eligible for further revision.

11. A single winner will be named for each lot.

12. The additional information is available from the following person: Ivane Sulkhaniashvili, Staff of Parliament of Georgia, 8 Rustaveli Ave., Tbilisi. Tel: 28-13-69; 28-15-63.



ბანცხალვა ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- 1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად:
 - ლოტი I - 389 ცალი HP-ის ფირმის ტექნიკის კარტრიჯი;
 - ლოტი II - 32 ცალი Canon-ის ფირმის ტექნიკის კარტრიჯი;
 - ლოტი III - 321 ცალი Xerox-ის ფირმის ტექნიკის კარტრიჯი;
 - ლოტი IV - 24 ცალი სხვადასხვა ფირმის ტექნიკის კარტრიჯი;

შენიშვნა: შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.

2. საკანცელარიო საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 28 იანვრიდან იმავე წლის 17 თებერვლის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ანგარიში: 200122900 ბანკის კოდი: 220101222 საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 17 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 17 თებერვლის 14:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ყ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, მისთვის სასურველ ერთ ან რამოდენიმე ლოტზე.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

- 6.1 იურიდიული პირებისათვის:
 - ა) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან;
 - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
 - გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
 - დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

- 6.2 ფიზიკური პირებისათვის:
 - ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
 - გ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

- 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
 - ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.
 - ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

